ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 12 მაისი, 2022

№92 (8870)

ფასი: 80 თეთრი

## შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის თბილისსა და რეგიონებში 17 პირი დააკავა



გვ.5

# „რა მიზეზით უნდა დაუწესონ სანქციები ივანიშვილს, რამე ხელმოსაჭიდი აქვთ?!“







გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „სააკაშვილი ჩვეულებრივი პატიმარი არ არის. ის ლიდერია, რომელსაც ასეულათასობით ამომრჩეველი უჭერს მხარს ამ ქვეყანაში“

## „ქართული ოცნება“ მზად არის, ივანიშვილის ქონების დაცვას ქვეყნის ინტერესები შესწიროს“

ხათუნა სამნიძე: „საქართველოს ხელისუფლების პოზიცია უკრაინასთან დაკავშირებით ძალიან ბევრ ეჭვს აჩენს და ამან ქვეყნის იმიჯი დააზიანა“



გვ.2

## „ამერიკის მიბმა ივანიშვილის სანქციებთან პოლიტიკური შეცდომაა“



„ქართულ ოცნებას“ არსებული ოპოზიციისგან არავითარი პოლიტიკური საფრთხე არ ემუქრება“

გვ.2



გვ.4

## „სირცხვილია, საპატიმროში ვუყურებდეთ მესამე პრეზიდენტის წამებას“

თამარ ჩხეიძე: „ხელისუფლება ხალხის ბუნებრივ შიშს ომის მიმართ უსირცხვილოდ იყენებს“



გვ.3

## გურამ ვახტანგაშვილი: „ძალიან დიდი იმედი მომეცა, ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთ“

გვ.3

## „პური ბოლო ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ 10 თეთრით არის გაძვირებული“



2 გიორგი ვაშაძე: „კობახიძე აშშ-ს თავს ესხმის“

6 უკრაინამ ხარკოვის ჩრდილოეთით რამდენიმე პუნქტი გაათავისუფლა

3 ლევან გოგიჩაიშვილი: „ქართული ოცნებისთვის“ ბიძინა ივანიშვილი დედაც არის, მამაც, სამშობლოც, კონსტიტუციაც და ყველაფერი“

6 ევროკავშირი რუსეთსა და უკრაინას შორის შუამავალი ვერ გახდება

# „ქართული ოცნება“ მზად არის, ივანიშვილის ქონების დაცვას ქვეყნის ინტერესები შესწიროს“

## ხათუნა სამნიძე: „საქართველოს ხელისუფლების პოზიცია უკრაინასთან დაკავშირებით ძალიან ბევრ ეჭვს აჩენს და ამან ქვეყნის იმიჯი დააზიანა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე პასუხობს.**

***– ქალბატონო ხათუნა, სააკაშვილს თავდებში არ დავუდგებითო. რას იტყვით ამ ინიციატივასა და სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, უნდა გადაიყვანონ საზღვარგარეთ?***

– მე ვამბობ, რომ ამ ინიციატივას არ ვიზიარებ, თავდებობის წერილის გავრცელებას რაც შეეხება. ვიზიარებ იმ პოზიციას, რომ ის გადაიყვანონ საზღვარგარეთ, მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სახელმწიფომ გააკეთოს ყველაფერი, რომ კითხვის ნიშანი არ დარჩეს. გადაიყვანონ და უმკურნალონ, მაგრამ თავდებობის ინიციატივას არ ვუერთდებით, არ მგონია, რომ ეს სამართლებრივად სწორი და რაიმე კონკრეტული შედეგის მომტანია. მე ვფიქრობ, ოპოზიცია ერთიანია იმაში, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა იყოს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ სახელმწიფოს მხრიდან. ამ საკითხში ყველა ერთიანია, მაგრამ თავდებობის ინიციატივაში ერთიანი არ არის ოპოზიცია და ეს უნდა გაეთვალისწინებინა ნაციონალურ მოძრაობას.

***– რამდენად სწორია, როდესაც სააკაშვილი და მისი პარტია ულტიმატუმის ენით საუბრობენ?***

– მე არ ვთვლი, რომ ულტიმატუმის ენით საუბრობენ. მე ვთვლი, რომ ამ თავდებობის ინიციატივით შეცდომას უშვებს ნაციონალური მოძრაობა.

***– რატომ უშვებს შეცდომას?***

– ამ ინიციატივას არ შეუერთდება ოპოზიციის დიდი ნაწილი, მაშინ როდესაც იდეას, რომ სააკაშვილი გადაიყვანონ საზღვარგარეთ, მკურნალობა იყოს გაწეული და დაცული იყოს მისი ჯანმრთელობა, აქ მთელი ოპოზიცია გაერთიანებულია. ამაზე, ვფიქრობ, უნდა დაფიქრებულიყო ნაციონალური მოძრაობა.

***– ეს ინიციატივა მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს და ნაციონალური მოძრაობა მარტო დარჩება?***

– არ ვიცი, ვერაფერს ვერ გეტყვით. მე



ვლაპარაკობ მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის სახელით, რომ ამ ინიციატივას არ ვუერთდებით. სხვების პოზიცია არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ აზრთა სხვადასხვაობა ოპოზიციაში არის.

***– სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სრულიად სხვა პოზიცია აქვს ხელისუფლებას, მიიჩნევენ, რომ სააკაშვილს საგანგაშო არაფერი სჭირს და რომ საქართველოშიც არის შესაძლებელი მისი მკურნალობა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ, რამდენად მძიმეა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა?***

– მე არ ვარ კვალიფიციური ამ საკითხში, მაგრამ, შემიძლია გითხრათ, რომ ხელისუფლების არ მჯერა, როცა ის ასეთ განცხადებას აკეთებს. საზოგადოებაში არის შეკითხვები, სააკაშვილის გარემოცვა სვამს შეკითხვებს და საგანგაშოდ თვლის მის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ამიტომ, რომ არ გაღრმავდეს პოლარიზაცია, რომ არ გაჩნდეს უფრო მეტი შეკითხვა და ამან კიდევ უფრო არ დაძაბოს ვითარება, სწორედ ხელისუფლების ტვირთია, გააქროს ეს შეკითხვები. ამიტომ ისე უნდა უმკურნალოს პატიმრობაში მყოფ პრეზიდენტს, მათ შორის თუნდაც საზღვარგარეთ გადაყვანით, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს და არ დარჩეს შეკითხვები.

***– რამდენად გაქვთ ხელისუფლების კეთილგონიერების იმედი?***

– არ მაქვს მათი კეთილგონიერების იმედი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ზეწოლა, მათ შორის ჩვენი საერთაშორისო მეგობრების დახმარება ამ საკითხში გავლენას იქონიებს მათზე.

***– ალბათ ძალიან დაზარალდება ქვეყანა, თუკი სააკაშვილს ციხეში რამე მოუვა.***

– სააკაშვილის პატიმრობაში ყოფნაზე, მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და მასთან მოპყრობასთან დაკავშირებით კითხვები უკვე არსებობს ჩვენს საერთაშორისო მეგობრებში და ეს პირდაპირ აზიანებს ქვეყნის იმიჯსა და ინტერესებს. სწორედ აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ხელისუფლების ტვირთია, ეს გაითვალისწინოს და მიიღოს შესაბამისი ზომები.

***– „ქართული ოცნების“ ლიდერები პანიკაში არიან ბიძინა ივანიშვილის ფინანსური ოპერაციების შეზღუდვასთან დაკავშირებით. უამრავი განცხადება მოვისმინეთ. რას ფიქრობთ თქვენ ამ ყველაფერზე?***

– მე ვფიქრობ, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ ძალიან უჭირს და სწორედ ამიტომ ისევ ქვეყნის ინტერესებს აზიანებს, როდესაც კერძო პირის კერძო ფინანსურ დავაზე აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს. მმართველი პარტიის თავმჯდომარე როდესაც იწყებს მის დაცვას, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქვეყანაში არის არაფორმალური მმართველობა. „ოცნების“ პოლიტიკური ლიდერები ივანიშვილის ქონების დამცველებად გამოდიან.

***– ეს ყველაფერი არ არის კავშირში პოლიტიკურ სიტუაციასთან? შესაძლოა თუ არა, რომ ეს იყოს სანქციები ივანიშვილის წინააღმდეგ?***

– ეს შეიძლება იყოს კავშირში, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია. შესაძლებელია, ბიძინა ივანიშვილს ჰქონდეს კონკრეტული ეჭვები, შიშები, იქიდან გამომდინარე, რომ სანქციები ძლიერდება, უფრო ინტენსიური ხდება. შესაძლებელია, მას უჩნდება რაიმე ტიპის ეჭვები. მე კონკრეტულად ამაზე ინფორმაცია არ მაქვს, არც ვარაუდებით საუბარი არ მჩვევია. ფაქტი კი ის არის, რომ „ქართული ოცნება“ მზად არის, ბიძინა ივანიშვილის ქონების დაცვას ქვეყნის ინტერესები შესწიროს.

***– სულ ისმის განცხადებები ივანიშვილის რუსული კავშირების თაობაზე, რომ აქ შავი ხვრელები გაჩნდა. ისმის უკრაინის ხელისუფლების ლანძღვა. ამ ყველაფერმა ხომ არ ჰპოვა ასახვა და საფრთხე ხომ არ დაემუქრა ივანიშვილს?***

– საქართველოს ხელისუფლების პოზიცია უკრაინასთან დაკავშირებით ძალიან ბევრ ეჭვს აჩენს და ამან დააზიანა ქვეყნის იმიჯი. ამას აქვს და მომავალშიც ექნება რეაგირება ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისგან, რადგან მთელი ცივილიზებული სამყარო დგას დღეს უკრაინის გვერდით. საქართველო კი ეჭვებს აჩენს. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს საფრთხის განცდა, მაშინ როდესაც ის ცივილიზებული სამყაროს გვერდით არ დგას.

***– ევროინტეგრაციის საკითხი აქტიურად განიხილება. კითხვარის პირველი ნაწილი გაიგზავნა, მეორე ნაწილს დღეს გადასცემს ევროკავშირს ჩვენი ხელისუფლება. კითხვაზე პასუხი საზოგადოებას დაუმალეს, არ იყო გამჭვირვალე. რა მოლოდინი გაქვთ, მივიღებთ კანდიდატის სტატუსს?***

– ცუდია, რომ პროცესი არ იყო გამჭვირვალე და ამაში არ იყო ჩართული ყველა საექსპერტო ჯგუფი. „ქართულმა ოცნებამ“ ჩათვალა, რომ მარტო გაართმევდა ამას თავს. მინდა, ოპტიმისტი ვიყო და იმედს ვიტოვებ, რომ შექმნილი სიტუაცია, უკრაინაში მიმდინარე პროცესები ქმნის ისეთ ვითარებას, რომ შესაძლოა საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი.

***– უკრაინასა და მოლდოვაზე უფრო მეტი მოლოდინია?***

– მე ვფიქრობ, რომ წყვილში იქნებიან განხილული უკრაინა, მოლდოვა და საქართველო. შესაძლებლობის ეს ფანჯარა სწორედ უკრაინაში მიმდინარე ამ უმძიმესმა პროცესებმა გახსნა. ჩემი აზრით, სამივე ქვეყანა ერთად იქნება განხილული.

# გიორგი ვაშაძე: „კობახიძე აშშ-ს თავს ესხმის“

– პირდაპირი შეტევაა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებზე – მიუღებელია მსგავსი თავდასხმითი რიტორიკა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რასაც კობახიძისგან ვისმენთ.

ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რითაც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის განცხადება შეაფასა.

მისივე თქმით, უახლოეს 2-3 თვეში საქართველოში ყველაფერი გაირკვევა, კერძოდ, ვინ არის რუსეთის და ვინ დასავლეთის მხარეს.

– პირდაპირი შეტევაა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებზე. ვფიქრობ, ეს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის განგაშის სიგნალი უნდა იყოს. თავდასხმა ელჩზე, თავდასხმითი რიტორიკა დასავლეთზე, შენიღბული კამპანია – „ომი გინდათ“, „ომი გინდათ“, ეს, როგორც ჩანს, დიდი საერთო სტრატეგიის ნაწილია.

უახლოეს 2-3 თვეში საქართველოში ყველაფერი გაირკვევა, თუ ვინ არის რუსეთის და დასავლეთის მხარეს. ჩვენ, საზოგადოებას, დასავლელ პარტნიორებთან ერთად მოგვიწევს დიდი არჩევანის გაკეთება. მიუღებელია მსგავსი თავდასხმითი რიტორიკა მთავარ სტრატეგიულ პარტნიორზე, ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რასაც ჩვენ ვისმენთ კობახიძისგან და მათი აპოლოგეტებისგან, – აღნიშნავს ვაშაძე.

ცნობისათვის, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე შვეიცარიული ბანკის, კრედი სუისის მიერ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის კომპანიისთვის თანხების გადარიცხვის შეფერხებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ როცა შვეიცარიული ბანკი აფერხებს ერთი თვის განმავლობაში გადარიცხვას, ეს კითხვებს აჩენს.

კობახიძე არ გამორიცხავს, რომ შვეიცარიული ბანკის გადაწყვეტილება „კოორდინაციის შედეგი“ იყოს. კითხვაზე, ვისგან ხედავს კოორდინაციას, გულისხმობს, თუ არა შეერთებულ შტატებს, კობახიძე აცხადებს, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამო დეტალებში არ შევა.

მისივე თქმით, თუ ვინმეს სურს, ამით ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მობრუნების და ქვეყანა ომში ჩართოს, „ივანიშვილს კარგად არ იცნობს“.

# „ამერიკის მიბმა ივანიშვილის სანქციებთან პოლიტიკური შეცდომაა“

## „ქართულ ოცნებას“ არსებული ოპოზიციისგან არავითარი პოლიტიკური საფრთხე არ ემუქრება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ირაკლი კობახიძემ თავისი ცნობილი განცხადების შემდეგ, რომელიც ბიძინა ივანიშვილსა და შვეიცარულ ბანკს უკავშირდება, განაცხადა, რომ პოლიტიკური კუთხით ამ დისკუსიას აღარ გააგრძელებენ. როგორ ფიქრობთ, რატომ?***

– შეიძლება მიხვდნენ, რომ გააკეთეს ის განცხადება, რომელიც არ უნდა გაეკეთებინათ, თან ეს განცხადება ძალიან ბევრი კომპონენტისგან შედგებოდა.

***– შეიძლება მიხვდა, რომ ხელისუფლება პირდაპირ არ უნდა ერეოდეს კერძო პირის, როგორც გვეუბნებიან, საქმეებში?***

– ეს ცალკე თემაა. ბიძინა ივანიშვილი რეალურად არის პოლიტიკაში, მიუხედავად იმისა, რას გვეუბნებიან. მართალია, ფორმალურად არ არის, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაზე აქვს გავლენა.

თუ კობახიძის განცხადებას დავუბრუნდებით, შემიძლია გითხრათ, რომ ეს იყო აბსურდული განცხადება. ვიღაცა ცდილობს ივანიშვილის დაშანტაჟებასო, ასევე, მეორე ფრონტის გახსნაზე განცხადება აბსურდული იყო.

„ქართული ოცნების“ პროპაგანდა ამ ბოლო დროს აგებულია იმაზე, რომ ნაციონალურ მოძრაობასა და უკრაინის ხელისუფლებას საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა, ანუ ომი სურს. როგორც ჩანს, ამ თემამ იმუშავა და, რა გასაკვირია, რომ ადამიანებს ომი არ უნდოდეთ ქვეყანაში, მაგრამ ამ განცხადებით უკვე ძალიან ზედმეტი მოუვიდათ. ვინ დაიჯერებს, რომ ომი საქართველოში ამერიკას სურს?! ცხადია, არავინ.

ან ის, რომ შვეიცარიულ ბანკზე, რომლის რეპუტაციაც სრულიად შეურყეველია, ვინ დაიჯერებს, რომ ამერიკა ახდენდა ზეწოლას. ამერიკიდან შვეიცარიაში რეკავდნენ და კერძო აქციო-



ნერის ტრანზაქციებს აკონტროლებდნენ? ეს ხომ სრული აბსურდია. შეუძლებელია, ეს ადამიანებმა დაიჯერონ, რაც არ უნდა ამ სფეროში ჩახედული არ იყვნენ.

როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებაში“ მიხვდნენ, რომ თავისთავად ძალიან აბსურდული თეორია ააგეს და ალბათ ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ისევ კობახიძეს გაეკეთებინა განცხადება, ჩვენ პოლიტიკურ დისკუსიას ამ საკითხზე აღარ გავაგრძელებთო.

კიდევ ერთი უარყოფითი ასპექტი, რომელიც მოჰყვა კობახიძის ამ განცხადებას, იყო ის, რომ ოპოზიციამ, ნაციონალურმა მოძრაობამ თქვა, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება, როგორც არასდროს, ისე ახლოს არისო. ასეთი შედეგი მიიღეს გაუაზრებელი განცხადებით.

***– არადა, ირაკლი კობახიძემ ნამდვილად იცის, სად რა თქვას.***

– დიახ, განათლებული ადამიანია, ნამდვილად იცის, რას ლაპარაკობს, მაგრამ ამ შემთხვევაში სიტყვა გაექცა, თქვა ის, რაც არ უნდა ეთქვა.

***– თუ სანქციებზეა საუბარი, მაშინ ამერიკა რატომ მოუვლიდა ივანიშვილს შორიდან?***

– დამასწარით, სწორედ აქეთკენ მიმყავდა საუბარი. რაში ანაღვლებს ამერიკას, ვიღაცის რეპუტაციას გაუფრთხილდეს და ასე კულუარულად აცნობოს, რომ შეიძლება სანქციებში მოჰყვეთო. ეს, უბრალოდ, გაუგებარია. ამიტომ ვამბობ, რომ ამერიკის მიბმა ამ ამბავთან დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო.

***– პოლიტიკაში მობრუნება უნდა ვიღაცასო. შეიძლება, მართლა მობრუნდეს?***

– აქ აქცენტი უფრო არა მობრუნებაზე, არამედ ომზე იყო, მაგრამ ესეც აბსურდია, თუ ომი უნდა დაიწყოს, ამას ბიძინას მობრუნება რად უნდა. გაურკვეველი და დაულაგებელი განცხადება იყო. ამიტომ ვამბობ, რომ აბსურდია.

***– „ოცნების“ ბოლო განცხადებები ძალიან აჭრილია. შეიძლება, შიდაკვლევები ჩაატარეს და ნახეს, რომ არც ისე სახარბიელო მდგომარეობა აქვთ და ამას უკავშირდება ეს ყველაფერი?***

– არა მგონია. თუ ვინმეს დღეს სანერვიულო არა აქვს, ეს „ქართული ოცნებაა“, რადგან არსებული ოპოზიციის მხრიდან მათ არავითარი პოლიტიკური საფრთხე არ ემუქრებათ. სააკაშვილი შვიდი თვეა ციხეშია იმავე პრობლემით. ის ახალს ვერაფერს სთავაზობს საზოგადოებას, ერთი სიტყვით, პოლიტიკურ პროცესებზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს. დანარჩენი ოპოზიცია არის იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ადრე იყო და ეს მდგომარეობა ვერანაირ გავლენას ვერავისზე ვერ ახდენს. აქ სად ხედავთ „ოცნებისთვის“ პოლიტიკურ საფრთხეს?!

***– უკრაინის ომის ბედს შეუძლია, გავლენა იქონიოს?***

– აი, რასაც შეუძლია, გავლენა იქონიოს, ეს მართლაც არის უკრაინის ომის ბედი. უკრაინის ომი გავლენას იქონიებს არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ მთელ მსოფლიოზე. ჩვენ, საქართველო კი პირდაპირ ვართ მიბმული ამ ამბავზე. უკვე ცალსახაა, რომ ამ ომის დასრულების შემდეგ მსოფლიო როგორიც იყო, ისეთი ვერ იქნება. არავის უნდა აღიარება, მაგრამ ეს ნამდვილად არის მესამე მსოფლიო ომი. პროცესი იქითკენ მიდის, რომ პუტინსა და მის მთავრობას მოუწევს ძალაუფლების, ხელისუფლების დატოვება. ეს უკვე აშკარაა. ამას კი უნდა მოჰყვეს ახალი რუსეთის დაბადება, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა გერმანიაში, ახალი გერმანიის დაბადება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საინფორმაციო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რა მიზეზით უნდა დაუწესონ სანქციები ივანიშვილს, რამე ხელმოსაჭიდი აქვთ?!“

## თორნიკე შარაშენიძე: „სააკაშვილი ჩვეულებრივი პატიმარი არ არის. ის ლიდერია, რომელსაც ასეულათასობით ამომრჩეველი უჭერს მხარს ამ ქვეყანაში“



ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, „ქართული ოცნების“ პანიკური განცხადებები ბიძინა ივანიშვილის ქონების ირგვლივ ბევრ კითხვას აჩენს. რას ფიქრობთ თქვენ, რამდენად უკავშირდება ეს ყველაფერი სანქციებს, დაიწყო დასავლეთმა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების განხორციელება?***

– ნამდვილად არა მგონია, ასე იყოს. ამის ვერანაირ ნიშანს ვერ ვხედავ. რატომ უნდა დაასანქციირონ, რა მიზეზით?! მართლაც არანაირად არ მესმის. მესმის, რომ ბევრი სპეკულაციაა ამის ირგვლივ, მაგრამ რეალურ მიზეზს მართლა ვერ ვხედავ. ვფიქრობ, ეს, უბრალოდ, ჩვეულებრივი შეფერხებები იყო. როგორც ჩანს, ამ შეფერხებებზე რეაქცია მისცა ბიძინა ივანიშვილმა. არ არის მარტივი საქმე, ნახევარ მილიარდს რომ ედავები, მოუგებ სასამართლოთი და მერე მაინც არ გირიცხავენ. როგორც ჩანს, ივანიშვილის რეაქციაზე მისი გუნდის წევრებმა ორმაგი რეაქცია მისცეს. შემდეგ ამას მიეცა სხვადასხვა ინტერპრეტაცია. ამ ინტერპრეტაციებს აღარ ჩავუღრმავდები, სრული სიგიჟეები ისმოდა როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხრიდან, ამიტომ ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ.

***– სრული სიგიჟე ახსენეთ და რატომ აქვს ასეთი მძაფრი რეაქციები „ქართულ ოცნებას“, რა ხდება?***

– შესაძლოა, უთხრა ივანიშვილმა, რაღაც ქენითო და მათაც მეტისმეტი მოუვიდათ. ზოგიერთმა ზედმეტი ენთუზიაზმიც კი გამოიჩინა. იქით ოპოზიცია გამოხტა, ქვეყნის დასავლურ კურსს ცვლიანო და ასე შემდეგ. მართალი გითხრათ, ამ ყველაფერს სერიოზულად ვერ ვუყურებ.

***– თქვენ სანქციების მოლოდინი არ გაქვთ?***

– რატომ, რა მიზეზით უნდა დაასანქციირონ?! რამე ხელმოსაჭიდი აქვთ? დასაბუთების გარეშე, როგორ შეიძლება, დაასანქციირო ადამიანი?! ასე თუ ისე, საქართველო დასავლეთის მოკავშირე ქვეყნად ითვლება და ამ გაგანია ომში ადგე და უცებ დაასანქციირო ამ ქვეყნის ყველაზე გავლენიანი ადამიანი, ამას რა ახსნა ექნება?! რატომ ვუწესებთ სანქციებს, რომ დაურეკა ვიღაცამ და უთხრა, იცი რა, ხორბლის გაყიდვა მინდა და ამან უთხრა, კარგი, შეგახვედრებ ვიღაცასო?! ამის გამო უნდა დაადონ სანქციები?!

***– ანუ ეს ჩვეულებრივი სამართლებრივი დავაა, რომელიც მოგვარდება?***

– ეს სრულიად ჩვეულებრივი დავაა, მგონი, რომლებზეც ვიღაც-ვიღაცებმა მძიმე რეაქცია გამოავლინეს.

***– ოპოზიციას მიაჩნია, რომ დასავლეთმა ივანიშვილს სანქციები დაუწესა.***

– ოპოზიცია, რაც თავი მახსოვს, მაგას გაიძახის. რაც ივანიშვილი ხელისუფლებაშია, სულ სანქციებზე საუბრობს.

***– ანუ არ გაქვთ მოლოდინი, რომ ივანიშვილს სანქციებს დაუწესებენ?***

– არანაირად, იმიტომ, რომ მიზეზს ვერ ვხედავ და მომკალით, თუ გინდა. ვერც ლოგიკას ვხედავ, რატომ უნდა დააყენოს ივანიშვილმა საფრთხის ქვეშ თავისი ოჯახი, თავისი მილიარდები, იმიტომ, რომ ხათაბალაში გაეხვეს რუსების გამო?! ან რუსეთი რას მოიგებს ისეთს, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით რაღაც შეიტანოს? თუ ჩიპების შეტანა უნდათ, ჩინეთის გავლით ვერ მიიღებენ?! შესაბამისად, ვერ ვხედავ ლოგიკას ამ ყველაფერში. დასავლეთს იმისათვის, რომ ივანიშვილს სანქციები დაუწესოს, სჭირდება საბუთი, დოკუმენტაცია, რომელიც არ არსებობს. ვიღაც დეპუტატი ცუდ ფეხზე ადგება, დარეკავს ამერიკაში და ეტყვის, დაასანქცირეთ ივანიშვილიო, არ ხდება ეს ყველაფერი ასე მარტივად. ვიღაცას შეიძლება გულით გაუხარდეს, რომ საქართველოს სანქციებს დაადებენ ივანიშვილის გამო. ეს კი მათი პრობლემაა.

***– ხელისუფლებამ ევროკავშირის კითხვარი შეავსო. როგორ ფიქრობთ, მივიღებთ კანდიდატის სტატუსს?***

– წესით, უნდა მივიღოთ, მაგრამ ჯერჯერობით ქვეყანა არ არის მზად ინტეგრაციისთვის. ეს ყველამ მშვენივრად ვიცით. ჩვენთვის იდეალური სცენარი იქნება, თუ მოგვცემენ სტატუსს და ძალიან დიდ ეკონომიკურ დახმარების პაკეტს, რომ ეს ფული გავუშვათ ეკონომიკაში, რომ მიზნობრივად ჩაიდოს ინვესტიციების სახით. ეკონომიკა ცოტა ფეხზე უნდა დადგეს, დაეწიოს ევროკავშირის სტანდარტებს, რათა, ევროკავშირში შესვლის შემთხვევაში, ელემენტარულად ქვეყანა არ დაიცალოს. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, არა მარტო მიღება, თან დიდი ფულის ჩადებაც საქართველოს ეკონომიკაში.

სამი მილიარდი ევრო არაფერია ევროკავშირის ეკონომიკისთვის, ჩვენს ქვეყანას კი მართლა წაადგება და ქვეყანას დაემსგავსება, თავაწეულები შევალთ ევროკავშირში. მაჩანჩალად ევროკავშირში ყოფნა და ისეთ ქვეყნად, საიდანაც ხალხი გაიქცევა, არ იქნება სწორი და ლამაზი. უნდა დაგვეხმარონ, რომ ცოტა მდიდრები შევიდეთ და არა მათხოვრებივით. იმედი მაქვს, ეს ომი ბევრ რამეს შეცვლის და ევროპას დააჩქარებინებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რასაც აქამდე არ ჩქარობდა.

***– სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შიდაპოლიტიკურ პროცესებში, რომ იტყვიან, მთავარი თემაა. ხელისუფლება აცხადებს, სააკაშვილი ულტიმატუმის ენით გვესაუბრებაო. რამდენად სწორი მიდგომებია და რას ფიქრობთ ზოგადად ამ თემასთან დაკავშირებით?***

– ხელისუფლება ცდილობს, მართალი გამოჩნდეს სამართლებრივ ჭრილში, გამოიყვანონ ისე, რომ სააკაშვილი ერთი ჩვეულებრივი პატიმარია და რატომ უნდა მიიღოს მან პრივილეგიები. ჩვენ ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ სააკაშვილი მარტო სამართლებრივი საკითხი არ არის. ის არის ლიდერი, რომელსაც ასეულათასობით ამომრჩეველი უჭერს მხარს ამ ქვეყანაში. ამიტომ მისი პატიმრობა არ არის მხოლოდ სამართლებრივი საკითხი. ხელისუფლება კი ამ საკითხის იგნორირებას ცდილობს. ხელისუფლებამ მშვენივრად იცის ისიც, რომ ეს ასობით ათასი ამომრჩეველი ქუჩაში სააკაშვილის დასაცავად არ გამოვა. შესაბამისად, ხელისუფლებაც ჯიუტობს და ცდილობს, ეს თამაში ითამაშოს. ეს საკმაოდ სახიფათო თამაშია. მართლა რაღაც რომ დაემართოს ამ კაცს, სერიოზული შარია, მათ შორის, პირველ რიგში, ხელისუფლებისთვის. მე მირჩევნია, რომ მართლა სერიოზულად უმკურნალონ და ყველანაირი შეკითხვა მოხსნან. თუ რამე განსაკუთრებული და კატასტროფული არ სჭირს ადამიანს, საქართველოში სამკურნალოდ კარგი პირობებია. წესით, უნდა დათანხმდეს. იმედი მაქვს, საგანგაშო არაფერი აქვს.

# „ძალიან დიდი იმედი მომეცა, ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთ“

## გურამ ვახტანგაშვილი: „უნდა ვთხოვოთ ამერიკასა და ევროპას, რომ ჯაველინი და სხვა თავდაცვითი შეიარაღება შემოვიტანოთ. პუტინი უკრაინაში დამარცხების შემდეგ რას იზამს, არავინ იცის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი პასუხობს.

***– ბატონო გურამ, ცხინვალში ჩატარდა ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები, გაიმარჯვა ალან გაგლოევმა. ძალიან დიდი ძალისხმევა გაიღო ბიბილოვმა, ე.წ. რეფერენდუმიც დანიშნა (უკვე მერამდენედ უნდა ჩაატარონ), მაგრამ დამარცხდა. ამ ვითარებაში გაგლოევის გამარჯვებას რით ახსნით?***

– თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ საქართველოსთვის არ აქვს მნიშვნელობა, ალან გაგლოევი იქნება, ბიბილოვი, პეტრე თუ პავლე. მათი ჩატარებული ყველა არჩევნები უკანონოა და ვისაც აირჩევენ, მოსკოვის მარიონეტი იქნება. მოსკოვის გარეშე არაფერს აკეთებენ. ბიბილოვი ძალიან ეცადა, მოსკოვშიც იყო ჩასული, ლავროვს შეხვდა, მაგრამ სულ სხვა სიტუაცია შეიქმნა. ბიბილოვმა უკრაინაში 100-150 მებრძოლი გააგზავნა საომრად ძველი ტექნიკით, მაგრამ ყველა მებრძოლი გამოიქცა.

***– რატომ?***

– არავითარი დაგეგმვა არ ხდებოდა. ტექნიკა ძველი იყო. რუსეთის ჯარი არ გახლდათ მომზადებული, ბიბილოვს დიდი განხეთქილება მოუვიდა ჯარისკაცებთან, მეომრებთან, რომლებიც უკრაინაში რუსეთის მხარეს საბრძოლველად გააგზავნა. ალან გაგლოევი აირჩიეს, მაგრამ ისიც მარიონეტია. ალან გაგლოევი იმავეს გააკეთებს, რასაც კრემლიდან უბრძანებენ. მით უმეტეს, წაგების შემდეგ ბიბილოვს აღარაფერი ეკითხება, მაგრამ განაცხადა, რეფერენდუმის ჩასატარებლად ყველანაირად მომზადებული ვართო.

გინდა რეფერენდუმი ჩაატარონ, გინდა არჩევნები, ჩვენ 100%-ით მართლები ვართ. ფაქტი ჯიუტია, ცხინვალის რეგიონში ჩატარდა ქართველების ეთნოწმენდა გენოციდის ფაქტებით – ქართველები გაწყვიტეს. ნაწილი ქართველებისა ტერიტორიიდან გამოდევნეს. სანამ ცხინვალის რეგიონში ჩატარებულ არჩევნებსა თუ რეფერენდუმში ძირძველი მაცხოვრებელი მონაწილეობას არ მიიღებს, იქ ჩატარებულ „არჩევნებს“ თუ „რეფერენდუმს“ არავითარი იურიდიული ძალა არ აქვს და არ ექნება.

საქართველოში საზოგადოება თუ პოლიტიკური სპექტრი დაყოფილია. ერთნი ხელისუფლებას ადანაშაულებენ, სანქციებს მხარი არ დაუჭირა და რუსეთს რატომ არ ლანძღავსო, საზოგადოების მეორე ნაწილი რუსეთთან მოლაპარაკების მომხრეა. ამდენად, საქართველოში ჭრელი სპექტრია.

მე იმ აზრიდან გამოვდივარ, ჩვენი ხელისუფლება რუსეთთან კარგად რომ იყოს, მით უმეტეს, სანქციებს მხარი არ დაუჭირა და, თუ იქიდან ქება-დიდება ისმის, მაშინ ერთი ზარი საკმარისია ცხინვალის საკითხის გადასაწყვეტად.

***– სანქციები ძალაუნებურად მხარდაჭერილია, დასავლეთის მიერ დაწესებულ სანქციებს საქართველოც უერთდება. საქართველო რუსეთს სანქციებს არ უწესებს იმ პროდუქციაზე, რომლის სანქცირება უშუალოდ ჩვენ დაგვაზარალებს და არა – რუსეთს.***

– კი, მაგრამ თუ რუსეთი გვაქებს, ერთი ზარი უნდა, ცხინვალში გადმორეკოს ე.წ. პრეზიდენტთან (გინდა ე.წ. პრეზიდენტი დავარქვათ, გინდა ფერმის გამგე, არავითარი დონე არ აქვს). ხომ ხედავთ, რუსეთი რა დღეშია, მთელმა მსოფლიომ სანქციები დაუწესა, მთელი მსოფლიო რუსეთის წინააღმდეგააო. ჩვენ ისედაც მტრები ვართ, ჩვენი ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს. ამიტომ, დღეს იქნება თუ ხვალ, რაც შეიძლება მალე უნდა დაურეკოს, რეფერენდუმის ჩატარება გააჩერეთო. რუსებს ამის გაკეთება ხომ შეუძლიათ.

1990 წლიდან ომში ჩართული ვიყავი, მაგრამ 2008 წლის შემდეგ არ ვაქტიურობ, არც საზოგადოდ, არც – ისე, აქტიურ პოლიტიკაში არ ვარ, მაგრამ, ხომ ვხედავ, რა ხდება. ორი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი რომ ვიყავი, ცხინვალის საკით-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ლევან გოგიჩაიშვილი: „ქართული ოცნებისთვის“ ბიძინა ივანიშვილი დედაც არის, მამაც, სამშობლოც, კონსტიტუციაც და ყველაფერი“

– „ქართული ოცნების“ წევრებისთვის ბიძინა ივანიშვილის ქონება და ფული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქვეყნის ხვალინდელი დღე – ისინი არარაობები, მეორე და მესამე ხარისხის „ნაცები“ იყვნენ, დღეს აქვთ ყველაფერი და, შესაბამისად, მათთვის სამშობლო, სახელმწიფო სწორება არის ეს ადამიანი და მისი ინტერესები და ამაში ფულს იხდის, რომ ასე დაიცვან.

ამის შესახებ „ერთიანი საქართველო – სოლიდარობის ალიანსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ლევან გოგიჩაიშვილმა, „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ განაცხადა.

მისი თქმით, „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის მსგავს სექტად გადაიქცა, რომელსაც სწორება საკუთარ ლიდერზე აქვს.

– „ქართული ოცნების“ წევრები ფულის გამო ყველაფერზე არიან წამსვლელები. ფულის გამო ხდება ეს ყველაფერი, ამათთვის ცხოვრების მთავარი არსი არის ფული. მათთვის მიუღებელია თავგანწირვა, ბრძოლის არ ესმით, არ სწამთ.

ვინ არის დღეს „ქართულ ოცნებაში“? მე არც ერთ ადამიანს, რომელიც დღეს არის თავგადაკლული მებრძოლის იმიჯის მატარებელი, არ ვიცნობ და არ ვიცი, როდის იბრძოდნენ. ესენი იყვნენ ნაციონალური მოძრაობის მეორეხარისხოვანი წარმომადგენლები, მესამე ეშელონის „ნაცები“. ივნენ. 2008 წელს სააკაშვილს დაუჭირეს მხარი, 2012 წელს უგულავას დაუჭირეს მხარი და ეს ხალხი მოსულია მართლაც ამ ადამიანების ბრძოლაზე, მუქთაზე არის მოსული, მუქთა ხელისუფლება აქვთ და ამიტომ არაფერს უფრთხილდებიან და, ვისაც უფრთხილდებიან, არის ის ადამიანი, ვინც ეს ყველაფერი მისცა.

მათთვის ბიძინა ივანიშვილის ქონება და ფული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქვეყნის ხვალინდელი დღე. ამ ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ ისინი რაიმე ფორმით მიიღებენ ისეთ პროცესში მონაწილეობას, რომელიც ჩვენ დაგვაშორებს და უკან დაგვხევს დასავლეთისკენ სვლაში, ისინი ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე დადგებიან, მონაგონი იქნება ნაციონალური მოძრაობის მარგინალიზაცია, რაც მათ დაემართებათ.

ამ ხალხისთვის ბიძინა ივანიშვილი არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სამშობლო, რადგან მან მისცა ყველაფერი, რადგან ისინი არარაობები, მეორე და მესამე ხარისხის „ნაცები“ იყვნენ, დღეს აქვთ ყველაფერი და შესაბამისად, მათთვის სამშობლო, სახელმწიფო სწორება არის ეს ადამიანი და



მისი ინტერესები და ამაში ფულს იხდის, რომ ასე დაიცვან. ამათთვის ბიძინა ივანიშვილი დედაც არის, მამაც, სამშობლოც, სახელმწიფოც, კონსტიტუციაც, კანონიც და ყველაფერი – ჩვეულებრივი კერპთაყვანისმცემლობაა.

ნაციონალური მოძრაობის მსგავს სექტად გადაიქცა „ქართული ოცნება“, რომელსაც სწორება აქვს საკუთარ ლიდერზე.

ისინი დადგნენ ისეთ მხარეს, რომელიც დამარცხებისთვის არის განწირული, ოღონდ ჩვენ ყველაფერი წყალში არ ჩაგვაყრევინონ, რაც ამ პერიოდის განმავლობაში ამ ქვეყანამ აკეთა.

ამ ხალხს უნდა გავაგებინოთ – მესმის, რომ კაცებად გაქციათ, გაგამდიდრათ, მაგრამ სახელმწიფო უფრო მეტია, ვიდრე ერთი ადამიანის კეთილდღეობა, – განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

# „პური ბოლო ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ 10 თეთრით არის გაძვირებული“

## პურის მცხობელთა ასოციაციის განცხადება



– ხორბლისა და ფქვილის ბაზარზე არსებული ფასების გამო პურის მცხობელთა ასოციაცია პურზე ფასის 10 თეთრით ზრდას ადასტურებს.

ამის შესახებ ასოციაციის ხელმძღვანელმა მალხაზ დოლიძემ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

– პური ბოლო ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ 10 თეთრით არის გაძვირებული. მიზეზი ფქვილის ფასის ზრდაა. რუსეთიდან შემოტანილი ფქვილი, რომელიც იყო ხელმისაწვდომი 65-68 ლარად, ახლა მინიმუმ 75 ლარი ღირს.

ამაზე იაფი პირველი ხარისხის ფქვილი ბაზარზე არ არსებობს. რაც შეეხება საქართველოში დამზადებულ ფქვილს, ის 80 ლარზე ნაკლებად არ არის. ამის გამო ზოგიერთმა წარმოებამ რიგ ასორტიმენტებზე ფასები გაზარდა.

რაც შეეხება ქართულ და თონის პურს, აქ მე ინფორმაციას არ ვფლობ. უამრავია, ათასზე მეტი მცირე თონე არსებობს და იქ მეორე მესამე ხელიდან იძენენ ფქვილს, საგადასახადო სისტემაც განსხვავებულია და ნამდვილად არ ვიცი, როგორია მდგომარეობა. საქარხნო პურზე 10-თეთრიან მატებას კი ვადასტურებ.

მინდა, იცოდეთ ისიც, რომ პურს, რომელსაც შეფუთვა არ ეკუთვნის წესით და ზაფხულის პერიოდში რეკომენდებულიც არ არის, კოვიდპანდემიის შემდეგ ისიც კი შეფუთული გამოდის.

ესეც ზრდის ღირებულებას. საქართველოში თითქმის ყველაფერზე ფასი 2-3 ლარით არის გაზრდილი და უცნაურია, რომ პურზე ნამატმა ათმა თეთრმა დააქცია ქვეყანა, – განაცხადა დოლიძემ „ბიზნესპრესნიუსთან“.

# „სირცხვილია, საპატიმროში ვუყურებდეთ მესამე პრეზიდენტის წამებას“

## თამარ ჩხეიძე: „ხელისუფლება ხალხის ბუნებრივ შიშს ომის მიმართ უსირცხვილოდ იყენებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**რამდენიმე აქტუალურ თემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.**



***– მიხეილ სააკაშვილი დათანხმდა კლინიკა „ვივამედში“ გამოკვლევაზე გადაყვანას. ხელისუფლების მომხრეები აცხადებენ, რომ მის ჯანმრთელობაზე უსაფუძვლო ისტერიკა იყო ატეხილი.***

– ეს სამართლიანი პროტესტი იყო. ხელისუფლება კარგა ხნის განმავლობაში არ უსმენდა ექიმებს. მედიკოსები სააკაშვილის ჯანმრთელობას საგანგაშოდ მიიჩნევდნენ. საშინელებაა, როცა მძიმე მდგომარეობაშია ნებისმიერი პატიმარი. სააკაშვილი პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწეა. ის დააპატიმრეს შეთითხნილი ბრალდებებით. აშკარა იყო ხელისუფლების ინტერესი. მას უნდოდა და ახლაც აწყობს სააკაშვილის წამება და განადგურება, მის მიმართ ანგარიშსწორება. ბოლოს იძულებული გახდა, მისთვის შეეთავაზებინა სამოქალაქო კლინიკა „ვივამედში“ გადაყვანა.

***– ჰუმანურობის საკითხს რომ თავი დავანებოთ, რატომ უნდა აძლევდეს რომელიმე ხელისუფლებას ხელს ოპონენტის მოკვლა?***

– ნორმალურ და დემოკრატიულ ხელისუფლებას, წესით, ეს არ უნდა აწყობდეს. ეს ხელისუფლება დასავლურ ღირებულებებს არაფრად აგდებს. ის პუტინის ბრძანებებს ასრულებს. გარდა ამისა, ხელისუფლება სიძულვილითაა სავსე და სურვილი აქვს, ეს ადამიანი ნელ-ნელა, წამებით მოკლას. სამოქალაქო კლინიკა სააკაშვილს შესთავაზეს მას შემდეგ, რაც დასავლეთის რეაქცია უფრო ადეკვატური გახდა. საქართველოს საზოგადოება გამოხატავს სოლიდარობას, მაგრამ აქტიურობა არასაკმარისია. ჩვენ აღმოვჩნდით სამარცხვინო სიტუაციაში – საპატიმროში ვუყურებდით მესამე პრეზიდენტის წამებას.

***– სააკაშვილის მიმართ სოლიდარობის აქციები იმართებოდა.***

– რასაკვირველია, მაგრამ მეტი აქტიურობა უნდა ყოფილიყო. ამ ხელისუფლებას აქციებზეც არა აქვს რეაქცია, თუ ძალიან მასშტაბური არ არის. წინა ხელისუფლებები, მათ შორის კომუნისტები, მმართველობის ბოლო წლებში ხალხის გამოსვლებს ანგარიშს უწევდნენ. ახლანდელი ხელისუფლება ფიქრობს, ხალხი ქუჩაში გამოვა და მერე მალე დაიშლებაო. ერთი მიტინგი იყო ძალიან ხალხმრავალი. მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებიდან ორ კვირის შემდეგ რუსთავის ციხესთან გაიმართა მასშტაბური შეკრება. მაშინ საზოგადოებას მეტი შემართება და უფრო ოპტიმისტური განწყობა ჰქონდა.

***– ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ნაცმოძრაობას მომხრეების რაოდენობა აკლდება. ამის საილუსტრაციოდ მათ მოჰყავთ თებერვალში გამართული შუალედური არჩევნები, რომელშიც „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა მნიშვნელოვნად გაუსწრეს ნაცმოძრაობის კანდიდატებს. მათი თქმით, განსაკუთრებით ეს გამოჩნდა ბათუმში ელექტრონული არჩევნების დროს.***

– შუალედური არჩევნები გაიმართა მაშინ, როცა უკრაინაში ომი დაწყებული იყო. ამ არჩევნებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ვიცით, როგორ ატარებს „ოცნება“ არჩევნებს. ელექტრონულ სისტემასაც მოარგებდნენ გაყალბების მექანიზმებს. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს ომი. ხელისუფლება ამასაც საკუთარ თავზე ირგებს. უსირცხვილოდ იყენებენ ხალხის ბუნებრივ შიშს ომის მიმართ. ადამიანებს აშინებენ, ატყუებენ, თითქოს ოპოზიციას ომი უნდა. ეს არის სრული სიცრუე. საქართველოში ომის გადმოტანა არავის უნდა. ადამიანებს ეუბნებიან, ოპოზიცია ქვეყანას ომში ითრევს, ჩვენ კი მშვიდობას ვინარჩუნებთო. ნატოს ქვეყნები დაცული არიან, საქართველო დაუცველია და ადამიანებს შიში უჩნდებათ. ყველა მოქალაქე არ არის დეტალურად ინფორმირებული და ხელისუფლება ახერხებს საზოგადოების ნაწილის დარწმუნებას. ზოგი შიშის გამო აძლევს ხმას „ქართული ოცნების“ კანდიდატს. რუსეთი უკრაინაში არნახულ სისასტიკეს იჩენს. ამასაც თავისი ახსნა აქვს. რუსეთი აშინებს ადამიანებს უკრაინის ფარგლებს გარეთ.

***– რუსეთის პროპაგანდისტები სულ უფრო ხშირად აცხადებენ, რომ რუსეთის ჯარი იბრძვის უკრაინის სახელმწიფოებრიობის მოსასპობად.***

– თავიდანვე ამბობდნენ, რომ უკრაინა არის უკანონოდ წარმოშობილი, ლენინის მიერ შექმნილი სახელმწიფო. ეს, რასაკვირველია, სიცრუეა. ახლახან ისიც თქვეს, თითქოს უკრაინა აპირებდა რუსეთზე თავდასხმას და რუსეთის „სპეცოპერაცია“ ამის პრევენციაა. ესეც სასაცილო ბრალდებაა. უკრაინა არათუ თავდასხმას არ აპირებდა რუსეთზე, მას პაწაწინა მოტივიც არ მიუცია რუსეთისთვის.

***– ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად საქართველომ კითხვარი შეავსო. ბოლო განცხადებებით, საქართველოს საკითხი ისევ უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად განიხილება.***

– უკრაინის ევროკავშირის წევრობაზე ძალიან მძიმე განცხადება გააკეთა საფრანგეთის პრეზიდენტმა. მაკრონის განცხადებამ აღმაშფოთა. მან თქვა, რომ უკრაინას ამისათვის ათწლეულები დასჭირდება. ამაზე საშინლად აღმაშფოთა მაკრონის სიტყვებმა რუსეთ-უკრაინის ურთიერთობაზე, ომზე. მაკრონის თქმით, პრობლემა ისე უნდა მოგვარდეს, რომ რუსეთი არ დამცირდეს. საფრანგეთის პრეზიდენტი ლოიალურად და, შეიძლება ითქვას, მეგობრულადაც კი უყურებს რუსეთს, რომელმაც უკრაინაში სასაკლაოები მოაწყო. პუტინმა ჩაიდინა ისეთი რამ, რაც ჰიტლერსაც არ უქნია. ჰიტლერმა საშინელება დაატრიალა ებრაელების წინააღმდეგ, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, როცა ქალაქებში შედიოდა, სასაკლაოებს არ აწყობდა. საფრანგეთში ჰიტლერს არ მოუწყვია ის, რასაც პუტინი უკრაინაში აკეთებს. მაკრონის განცხადებები უკრაინის მიმართ არაკეთილგანწყობილია. ეს ეჭვებს აჩენს.

***– რა ეჭვებს?***

– მე კითხვებს ვსვამ. რუსეთი ხშირად ერევა სხვა სახელმწიფოების არჩევნებში. საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მაკრონის მეტოქე იყო მარინ ლე პენი. მეორე ტურში გაიმარჯვა მაკრონმა. დამთავრდა თუ არა არჩევნები, მაკრონმა მაშინვე დაიწყო რუსეთის მიმართ ლოიალური განცხადებების კეთება. ამის გამო ჩნდება კითხვები.

***– რუსი პროპაგანდისტები ფაშიზმს თანამედროვე ევროპას აბრალებენ. ამის ერთ-ერთ მაგალითად სახელდება 9 მაისს ვარშავაში მომხდარი ფაქტი: პოლონეთში მყოფმა უკრაინიდან დევნილმა ქალებმა სითხე (სიპოფი) შეასხეს პოლონეთში რუსეთის ელჩს, რომელიც ყვავილებით ამკობდა ჯარისკაცთა სასაფლაოს მემორიალს.***

– პუტინის მომხრეებს სამართლიანობისა და სიმართლის ნასახი არა აქვთ. ფაშიზმი თვითონ დაამყარეს. ეს არის რუსული ფაშიზმი ბოლშევიზმთან ერთად. უვნებელი სითხის შესხმა რუსეთის წარმომადგენლისთვის არის პროტესტის გამოხატულება და ამას ფაშიზმთან საერთო არაფერი აქვს.

***– რუსეთის სამხედრო უძლურებაზე, მის მომავალ საბოლოო კრახზე მსოფლიოში ბევრს საუბრობენ. თქვენი აზრით, ამას ვერ გრძნობენ მისი მხარდამჭერები, ღია და ფარული მოკავშირეები?***

– გრძნობენ, როგორ არა. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლება ამას აცნობიერებს. აშკარაა, რომ ხელისუფლება გამწარებული და შეშინებულია. ამაზე გაბრაზებულები უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ლანძღავენ, რასაკვირველია – სრულიად დაუმსახურებლად. ზელენსკის ანგარიშს უსწორებენ და თავს ესხმიან იმის გამო, რომ ის რუსეთის მოწინააღმდეგეა.

***– უკრაინის ხელისუფლებას განსაკუთრებული გაავებით უტევენ პრორუსული ჯგუფები. რატომ გააქტიურდნენ ისინი საქართველოში?***

– საშიშროება დაინახეს. რუსეთისა და თავიანთთვის საფრთხეს ხედავენ, თან იმედს ებღაუჭებიან, უნდათ დაიჯერონ, რომ რუსეთი იმარჯვებს. დარწმუნებული ვარ, ამ ომის შემდეგ რუსეთი ველარასდროს იქნება ისეთი ქვეყანა, როგორიც მანამდე იყო, შეიცვლება მმართველობითაც და ტერიტორიულადაც.

# „ძალიან დიდი იმედი მომეცა, ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ხთან დაკავშირებით აქტიურად გამოვდიოდი. 2008 წლის შემდეგ, რომ იტყვიან, ახლა გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა, ძალიან დიდი იმედი მომეცა, რომ ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთ.

***– რამ გაგიჩინათ იმედი?***

– უკრაინა გაიმარჯვებს. მთელი ცივილიზებული მსოფლიო უკრაინის მხარესაა. უკრაინის გამარჯვების შემდეგ, რუსეთის დასუსტების პირობებში, ცხინვალთან დალაპარაკება შეგვეძლება.

***– როგორ?***

– ცხინვალიც მიხვდება, რა ვითარებაა შექმნილი. პენსიებსაც ველარ არიგებენ, მაღაზიები ნახევრად ცარიელია. ცხინვალის ბიუჯეტის 100% რუსეთიდან ფინანსდებოდა, მაგრამ ახლა ისეთ მუქთამჭამლებს, როგორებიც ცხინვალი და აფხაზეთია, აღარ შეინახავს. ამიტომ ისინიც იძულებული გახდებიან, ჩვენკენ მობრუნდნენ. რომ გაიხედავენ, იქით შიმშილი და უბედურებაა, მთელი მსოფლიო მათი წინააღმდეგია, საზღვარგარეთ შვილებს ვერ აგზავნიან ვერც დასასვენებლად, ვერც სამკურნალოდ, ეს ოსებიც უტვინო ხალხი არ არის, განათლებული ხალხია. მე ცხინვალში დავიბადე, გავიზარდე და ვიცნობ.

ოსებიც მიხვდებიან, რომ საქართველოსკენ ყოფნა ჯობს როგორც ეკონომიკურად, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით. 2008 წლის დამღუპველი ომის შემდეგ (რაც რუსეთმა საქართველოში ჯარი შემოიყვანა და ჩვენთან ომი გააჩაღა), მე, პირადად, როგორც ძირძველმა ცხინვალელმა კაცმა, გვირაბის ბოლოს სინათლე დავინახე, უკრაინის მოვლენებიდან გამომდინარე. გახარებული ვარ, რომ უკრაინელი ხალხი დიდი მებრძოლი ერი ყოფილა.

მეგონა, რუსეთს ძლიერი ჯარი ჰყავდა. მე საბჭოთა კავშირის ჯარში ვმსახურობდი, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გამიწვიეს. ვიცოდი, როგორი ჯარი ჰყავდათ, მაგრამ, არ მეგონა, ასეთი კორუფცია და „ბარდაგი“ თუ იქნებოდა, ძველ ტანკებს თუ გადაღებავდნენ, გამოიყვანდნენ და პუტინს მოატყუებდნენ, ახალი ტანკები გვყავსო. ასობით მილიარდია შეჭმული. პუტინს მარტო 7 მილიარდი უკრაინაში შეუჭამეს – ჰპირდებოდნენ, ხარკოვსა და იმ ადგილებში, სადაც პრორუსული დასახლებებია, რუსულ ტანკებს ყვავილებითა და რუსული დროშებით შეხვდებიანო,

არადა, ის რუსები უფრო მაგრად იბრძვიან უკრაინელებთან ერთად პუტინის წინააღმდეგ. ძალიან დიდი იმედი მაქვს, მოვლენები ჩვენთვის სასიკეთოდ განვითარდება.

მინდა, ჩვენს ხელისუფლებას ხმა მივაწვდინო (ამ ინტერვიუს წაიკითხავენ, ან ვილაც მიაქცევს ყურადღებას და ეტყვის), არავითარი მეორე ფრონტის გახსნა, არავითარი ომი.

***– როგორც ამბობენ, საქართველოში გარკვეულ ძალას რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნა უნდა.***

– არავითარი მეორე ფრონტის გახსნა, მაგრამ ძველი, ჭკვიანი ხალხის ნათქვამია, თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვისო. როგორც უკრაინას ამარაგებენ თავდაცვითი სისტემებით (შეტევაზე რომ გადავიდნენ და ოკუპირებული ტერიტორიები დაიბრუნონ), ასევე საქართველოს მომარაგებაც აუცილებელია.

ჩვენც უკრაინასთან ერთად მუდამ გვახსენებენ, ამიტომ სასწრაფოდ, დღეიდან ან ხვალიდან (თუ დაგვიანებული არ არის) უნდა ვთხოვოთ ამერიკასა და ევროპას, რომ ჩვეულებრივი ჯაველინია თუ სხვა თავდაცვითი შეიარაღება შემოვიტანოთ, როგორც ჰაერსაწინააღმდეგო, ისე ტანკსაწინააღმდეგო, თორემ გაბრაზებული პუტინი უკრაინაში დამარცხების შემდეგ რას იზამს, არავინ იცის. უკრაინაში რა გააკეთა, ხომ ხედავთ.

***– უკრაინის ქალაქები და სოფლები მიწასთანაა გასწორებული.***

– დიახ. უკრაინის ქალაქები და სოფლები მიწასთანაა გასწორებული, მაგრამ უკრაინა 100%-თ გაიმარჯვებს. სამართალი უკრაინის მხარეზეა. უკრაინა თავის ტერიტორიაზე ომობს. ამას პლუს მთელი ცივილიზებული მსოფლიო ეხმარება როგორც ფინანსურად, ასევე იარაღით. ახლა კი არ გვინდა ომში ჩართვა და მეორე ფრონტის გახსნა, მაგრამ, უკრაინა რომ გაიმარჯვებს და რუსეთს თავისი ტერიტორიიდან განდევნის, გაბრაზებულ პუტინს თავში რა მოუვა, არავინ იცის. ამიტომ საჭიროა, თავდაცვითი იარაღი გვქონდეს. ამაში მსოფლიოც უნდა დაგვეხმაროს.



მადლობელი ვართ, რომ 2008 წელს 5 ქვეყნის პრეზიდენტი ჩამოვიდა საქართველოში და მხარში დაგვიდგა, მაგრამ ერთი თოფიც კი არ შემოუტანიათ.

***– 2008 წლის ომის შემდეგ იარაღის შესყიდვაზე ემბარგოც დაგვიწესეს. ემბარგო მხოლოდ 2014 წლის შემდეგ მოიხსნა.***

– ახლა მთელი მსოფლიო მიხვდა, რომ ქართველებთან ტყუის. ჩვენი ბრალი ის იყო, რომ ვერ გავძელით. დიდი მსხვერპლი კი იქნებოდა, მაგრამ ცხინვალის ომი ორ დღეში რომ არ დამთავრებულიყო (8 აგვისტოს საღამოს უკვე აღარავინ იყო. 9 აგვისტოს ცხინვალის რეგიონიდან აქეთ წამოვიდნენ) და 1 კვირა გაგვეძლო (ჯარისკაცებმა ვაჟკაცურად იომეს. თუნდაც ანწუხელიძის გმირობა რად ღირს. ვაჟკაცი ბიჭები გვყავდა, შეიძლება, გორი დაებომბათ, მსხვერპლი მეტი იქნებოდა), შეიძლება, მთელი მსოფლიო ჩართულიყო (როგორც უკრაინის მხარეს ჩაერთო) და მოვლენები სულ სხვანაირად განვითარებულიყო.

კონფლიქტში მსოფლიო რომ ჩართულიყო, ცხინვალის საკითხი ჩვენ სასარგებლოდ გადაწყდებოდა, არავითარი პრობლემა არ იქნებოდა. როგორც უკრაინის მხარესაა ჩართული მთელი მსოფლიო ამერიკის ხელმძღვანელობით, იმის 5-10% ჩვენთვის რომ გაეკეთებინათ, ჩვენი პატარა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და ცხინვალის საკითხის მოგვარებას არავითარი პრობლემა არ ექნებოდა.

ფაქტობრივად, ჩვენ ცხინვალის რეგიონის ტერიტორიის ნახევარს ვაკონტროლებდით. ცხინვალის რაიონის 50%-ს, პატარა და დიდი ლიახვის ხეობებს მთლიანად, 23 დიდი სოფლით გავაკონტროლებდით. ჯავას ვერ ვაკონტროლებდით, ახალგორს მთლიანად ვაკონტროლებდით. გმირი სოფლები იყო თამარაშენიდან კეხვამდე, თამარაშენიდან ერედვამდე. იქით კეხვი, ქურთა, ავნევი და ფრონეს ხეობა.

როგორც ახლა უკრაინას ეხმარებიან, იმის 1%-ით რომ დაგვხმარებოდნენ, რასაც ვაკონტროლებდით, იმ ტერიტორიებს მაინც არ დავკარგავდით. უკრაინელების ვაჟკაცობით აღფრთოვანებული ვარ.

***– მეც და ყველა აღფრთოვანებულია. თქვენ ბრძანეთ, ცხინვალის რეგიონიდან 150 მებრძოლი გაუშვეს რუსების მხარეს უკრაინაში საბრძოლველად გადაღებილი და ძველი ტანკებით, მილიარდები იყო დახარჯულიო. ეს მდგომარეობა ცხინვალთან ახლოს გაკეთებულ 8 ბაზაზეა?***

– დიახ, ცხინვალის ბაზაზეა ლაპარაკი. 150 კაცი 12 ტანკს წაიყვანდა, თითო-ოროლას აქ დატოვებდნენ, ბაზას სულ ხომ არ დააცარიელებდნენ. ცხინვალის რეგიონში 8 ბაზაა, მათგან ერთი დიდი ბაზა უშუალოდ ცხინვალთანაა. ამ ბაზებიდან ისედაც გაიყვანა რუსმა თავისი შეიარაღებული ჯარი, მაგრამ ცხინვალსაც ხომ აქვს თავისი თავდაცვის სამინისტრო და თავისი ჯარი.

იმ თავისი ე.წ. თავდაცვის სამინისტროდან (რა თავდაცვის სამინისტროა, ცხინვალში სულ 30 ათასი კაცი ცხოვრობს) 150 კაცი გააგზავნა ბიბილოვმა უკრაინელების წინააღმდეგ ომში. რუსებმა თავიანთი ბაზიდან (3 ათასი სამხედრო ჰყავთ თუ 4 ათასი) რამდენი გაიყვანეს, ზუსტად არ ვიცი.

***– თქვეს, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან რაც გაიყვანეს, იმის სათანადო კონტინგენტი შემოიყვანესო. თქვენი ინფორმაციით, რა კონტინგენტია დატოვებული?***

– ახლა რუსეთს ისე უჭირს, ლამისაა მობილიზაცია გამოაცხადოს. აქედან თუ გაიყვანეს, რისთვის შემოიყვანენ? თუ შემყვანები იყვნენ, უკრაინაში შეიყვანდნენ. ისე უჭირთ, ჯარი ციმბირიდან მოჰყავთ. არ ვიცი, ცხინვალის ბაზიდან რამდენი გაიყვანეს, 3 ათასი თუ 4 ათასი. მე ვიცი, რომ ცხინვალის თავდაცვის სამინისტროდან 150 ოსი ჯარისკაცი წაიყვანეს.

***– რაში დაარწმუნა ამ ყველაფერმა ოსი ბოევიკები?***

– იმაში დაარწმუნა, რომ რუსის ჯარი უძლეველი არ არის. უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებში რომ ჩაერთვნენ, ამათი ტექნიკა ძველი იყო და ყველა ფუჭდებოდა. ტანკებს ბუქსირებით ვქოქავდითო. მეორე – დაარწმუნა ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობაში. ოსი ბოევიკები უკრაინის წინააღმდეგ ომში შტაბსა თუ დივიზიაში რუსებს ექვემდებარებოდნენ. იმ ხელმძღვანელობაზე მეტი ჩვენ ვიცითო, ე.ი. სასაკლაოზე გაგვაგზავნეს არასწორი დაგეგმვითო. უკმაყოფილო იყვნენ და გამოიქცნენ. ბიბილოვიც ჩავიდა იქ და, მგონი, ცემეს კიდეც, დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონდა ოს მეომრებთან.

***– 150 მებრძოლის გაგზავნა ბიბილოვის ინიციატივა ხომ არ იყო, პუტინისთვის რომ ესიამოვნება?***

– ბიბილოვს არჩევნები ჰქონდა და ამიტომ წავიდა, თორემ რა მაგარი მეომარი ეგ არის. 24 თებერვალს ომი რომ დაიწყო, ცხინვალიდან 20-30 კაცი მოხალისედ წავიდა იმ დროს, რუსეთს რომ არ უჭირდა, 20-30 კაცი ცხინვალში მკვდარი ჩამოიყვანეს, დანარჩენები კი გამოიქცნენ. რუსეთს რომ გაუჭირდა, ბიბილოვმა 100-150 კაცამდე იმ ძველი ტექნიკით გაგზავნა ომში.

***– გაგლოევი ვინ არის?***

– „კაგებეშნიკია“, მთელი ცხოვრება უშიშროების სამსახურში გაატარა.

# შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის თბილისსა და რეგიონებში 17 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ბოლო პერიოდში, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, ქუთაისში, აჭარასა და კახეთის რეგიონში ნარკოდანაშაულისთვის 17 პირი დააკავეს, მათ შორის 14 ნარკორეალიზატორია.

1996 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ რ.ფ.-ს, 1984 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ ე.ა.-ს, 1981 წელს დაბადებულ დ.ხ.-ს, 1976 წელს დაბადებულ მ.გ.-ს, 1986 წელს დაბადებულ ი.თ.-ს, 1996 წელს დაბადებულ თ.მ.-ს, 1974 წელს დაბადებულ ვ.ბ.-ს, 1981 წელს დაბადებულ გ.კ.-ს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს: 1984 წელს დაბადებულ ჰ.კ.-ს და 1986 წელს დაბადებულ მ.ნ.-ს ბრალი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღებაში ედებათ.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და უკანონო გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებული არიან: 1994 წელს დაბადებული ი.დ., 1997 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ს.ჩ., ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1985 წელს დაბადებული ა.მ. და 2002 წელს დაბადებული დ.კ.

1985 წელს დაბადებულ, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევ და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ ც.ღ.-ს, 1976 წელს დაბადებულ ვ.ბ.-ს და 1981 წელს დაბადებულ რ.გ.-ს კი ბრალად ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ედებათ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებისთვის დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

მათი პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალებები და ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული.

ამავე დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულისთვის ვ.ბ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის მიერ მითითებული ადგილის და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს: 2945 აბი ნარკოტიკული საშუალება „ტრამადოლი“, 2586 აბი ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“, სარეალიზაციოდ გამზადებული და 71 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, „გეკოს“ სისტემის იარაღი, ხელყუმბარა, 305 ვაზნა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 7 მჭიდი.



ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ თბილისში კიდევ ერთი დაკავებული პირი – ა.მ. ჩართული იყო ნარკოტიკების ინტერნეტით რეალიზაციის სქემაში. იგი სხვადასხვა ინტერნეტაპლიკაციისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, დედაქალაქის კონკრეტულ უბნებში ათავსებდა ნარკოტიკულ საშუალებას. პოლიციამ ბრალდებულის მიერ სხვადასხვა ადგილას სარეალიზაციოდ განთავსებული ნარკოტიკული საშუალება, 10 შეკვრად დაფასოებული „ალფა პვპ“ ნივთმტკიცებად ამოიღო.

ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის მოქალაქეები – ჰ.კ. და მ.ნ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენიმეჯერ განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ვიდეოგადაღება. პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები და სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული ნივთმტკიცებად ამოიღო.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, წარსულში ნარკოტიკული დანაშაულისათვის მრავალჯერ ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.კ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ქუთაისში დააკავეს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულმა დ. კ.-მ, შემდგომი გასაღების მიზნით, ნარკოტიკი ბათუმში, სხვადასხვა ადგილზე განათავსა. სამართალდამცველებმა დაკავებულის მიერ მითითებული სამალავებიდან ნივთმტკიცების სახით ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“. ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ასევე ნივთმტკიცებად ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა კი ბათუმში, ბრალდებული ც.ღ.-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს 16 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც „ჰეროინსა“ და „ბუპრენორფინს“ შეიცავს.

რაც შეეხება ი.დ.-სა და ს.ჩ.-ს, აჭარის პოლიციამ მათ მიერ სხვადასხვა ადგილას სარეალიზაციოდ განთავსებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცების სახით ამოიღო. ბრალდებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, ასევე ნივთმტკიცების სახით ამოღებულია 23 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკი. სამართალდამცველებმა, ი.დ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს სხვადასხვა სახის ნარკოტიკი, მათ შორის 312 ერთჯერადი გამოყენების შპრიცი „ჰეროინის“ შემცველი სითხით.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის 3 პირი დააკავეს. სამართალდამცველებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე განახორციელეს რ.ფ.-სა და ე.ა.-სგან ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო მათ მიერ გაყიდული ნარკოტიკები და, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული ფული.

კახეთის პოლიციის მიერ კიდევ ერთი დაკავებულის – რ.გ.-ის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია 1 კილოგრამზე მეტი „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღების, გასაღების მცდელობის, მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო გასაღების და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით, 19-260-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 273-ე პრიმა მუხლის მე-8 ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

# „კრედიტ სუისთან“ უთანხმოების გადაჭრას ივანიშვილი სამართლებრივ რეჟიმში აწარმოებს“

## ადვოკატ ვიქტორ ყიფიანის განცხადება

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის, იურიდიული ფირმა „ემ ქეი დის“ უფროსი პარტნიორის, ვიქტორ ყიფიანის ინფორმაციით, „კრედიტ სუისის“ საბანკო ჯგუფის წინააღმდეგ აქამდე წარმოებულ სასამართლო პროცესებსა და საბანკო ტრასტის მიერ გადარიცხვებზე შექმნილ შეფერხებებს შორის კავშირი არაა.

როგორც მის მიერ „კრედიტ სუისის“ საბანკო ჯგუფის მიმართ დავის შესახებ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, „კრედიტ სუისთან“ დავა წარმოებს იმ ზიანზე, რაც ივანიშვილმა განიცადა შვეიცარიული ბანკის საქმიანობაში უმძიმესი სტრუქტურული დარღვევების შედეგად და იგი სწორედ რომ ამ ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს, საბანკო ტრასტის მხრიდან გადარიცხვები კი აბსოლუტურად განყენებულ აქტივებს ეხება.

ვიქტორ ყიფიანის მიერ „ინტერპრესნიუსისთვის“ მიწოდებულ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ როგორც ადვოკატი და იურიდიული ფირმის „ემ ქეი დი“ უფროსი პარტნიორი კოორდინაციას ვუწევ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ „კრედიტ სუისის“ საბანკო ჯგუფის წინააღმდეგ რამდენიმე იურისდიქციაში მიმდინარე სასამართლო პროცესს. ამ დავის შესახებ ქართულ მედიაში უცხოეთში გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია უკვე დაიბეჭდა და დამატებითი დეტალებით მკითხველს თავს არ შევაწყენ. ამჯერად, საკითხის ირგვლივ რამდენიმე ბოლოდროინდელი შეფასების საპასუხოდ მინდა მოკლეზე რამდენიმე გარემოებაზე მივანიშნო.

ჩვენ დღემდე ვერიდებოდით „კრედიტ სუისის“ საბანკო ჯგუფთან დავაზე ქართულ მედიაში კომენტარს. ამას შეგნებულად ვაკეთებდით, ვინაიდან ნებისმიერ ასეთ კომენტარს – ჩვენგან უნებლიეთ, ხოლო სხვებისგან ალბათ გამიზნულადაც კი – შესაძლოა, არასწორი და დამახინჯებული ინტერპრეტაცია მოყოლოდა. ამჯერად, ჩვენი მხრიდან კომენტარის სურვილი და აუცილებლობაც „მთავარი არხის“ მხრიდან საზოგადოებისათვის დამახინჯებული შინაარსის ინფორმაციის მიწოდებამ განაპირობა. ასეთმა არაობიექტურობამ და ფაქტების სათავისოდ გაშუქებამ სწორედ რომ იმ შესაძლოდ ვრცელ ინტერპრეტაციას დაუდო საფუძველი, რაზეც უკვე აღვნიშნეთ. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, საზოგადოების ობიექტური ინფორმირების მიზნით რამდენიმე აუცილებელი განმარტება.

ბატონი ივანიშვილის მხრიდან ზემოაღნიშნულ საბანკო ჯგუფთან გლობალურად წარმოებულ კომპლექსურ დავას ბოლო პერიოდში რამდენიმე სხვა ფაქტი მეტად საეჭვოდ დაემთხვა. საგულისხმოა, რომ არც ერთი მათგანი არც აღნიშნულ დავასთან და არც ორგანიზაცია „კრედიტ სუისთან“ არავითარ კავშირში არ არის.

კერძოდ, ამა წლის მარტიდან მოყოლებული, აპრილის შუა რიცხვებამდე, ბატონ ივანიშვილს გარკვეული შეფერხებები შეექმნა ლონდონიდან და ნიუ იორკიდან ხელოვნების ნიმუშების დროულ და შეუფერხებელ გადაადგილებაში. წარმოქმნილი შეფერხებები – რომლებიც შედარებით იოლად გადაილახა ნიუ იორკში, ხოლო უფრო რთულად ლონდონში – საბოლოოდ გადაიჭრა სამართლებრივი და სხვა არხებით. ასევე, დროში უცნაურად ემთხვევა ბატონი ივანიშვილის მიერ გერმანიაში ძველის ჩაბარების სანაცვლოდ შეძენილი ახალი ვერტმფრენის საქართველოში ჩამოყვანასთან დაკავშირებულ გართულებას. მაშინ, როდესაც ის მარტის დასაწყისში უნდა ყოფილიყო თბილისში, რეალურად მისი ჩამოყვანა შუა აპრილში მოხდა, თუმცა ეს ხელოვნურად შექმნილი პრობლემა ბატონი ივანიშვილის მიერ იურიდიული გზებით მოგვარდა.

ბატონი ივანიშვილის პოზიციაა, რომ „კრედიტ სუისთან“ ყველა უთანხმოება ასევე სამართლებრივი გზებით უნდა გადაიჭრას და ამ მიზნით პროგრესიც უკვე თვალშისაცემია. ბერმუდაზე საბანკო ჯგუფთან მიღწეული წარმატების შესახებ საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია; აგრეთვე, წარმატების ყველა პირობა არსებობს ამა წლის სექტემბერში სინგაპურში გასამართ პროცესთან დაკავშირებითაც. თუმცა, ბერმუდასა და სინგაპურში პროცესების პარალელურად თავი იჩინა საბანკო ჯგუფის მხრიდან მისი მნიშვნელოვანი კლიენტის უფლებების ახალი ტიპის დარღვევებმა, რაც საბანკო ტრასტზე კლიენტის მიერ გადარიცხვებზე გაცემული დავალებების დროულად და ჯეროვნად შესრულებაზე უარში გამოიხატა.

მეტიც – დავალებების შეუსრულებლობას არავითარი დასაბუთებული ახსნა არ მოჰყვა, ხოლო ბატონი ივანიშვილის წარმომადგენლებისგან საბანკო ჯგუფის ტრასტზე გასული ბოლოდროინდელი კორესპონდენცია რამდენიმე კვირა პასუხგაუცემელი იყო. მეტიც, ტრასტთან მიმართებაში უთანხმოება დღემდე არ არის აღმოფხვრილი. სწორედ რომ ტრასტის მხრიდან ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ბატონი ივანიშვილის „კრედიტ სუისის“ ტრასტის მიმართ უკვე მორიგი, ამჯერად გერნსის იურისდიქციაში, სარჩელის შეტანა.

აქვე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კავშირის არქონა „კრედიტ სუისის“ საბანკო ჯგუფის წინააღმდეგ აქამდე წარმოებულ სასამართლო პროცესებსა და საბანკო ტრასტის მიერ ხსენებულ გადარიცხვებზე შექმნილ შეფერხებებს შორის: თუკი პირველ შემთხვევაში დავა წარმოებს იმ ზიანზე, რაც ბატონმა ივანიშვილმა განიცადა შვეიცარიული ბანკის საქმიანობაში უმძიმესი სტრუქტურული დარღვევების შედეგად და იგი სწორედ რომ ამ ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს, საბანკო ტრასტის მხრიდან გადარიცხვები აბსოლუტურად განყენებულ აქტივებს ეხება.

ისევე, როგორც ხელოვნების ნიმუშებისა თუ ვერტმფრენის შემთხვევაში, ტრასტთან უთანხმოების გადაჭრა სამართლებრივ რეჟიმში იწარმოებს, შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი ყველა საშუალების გამოყენებით. სწორედ სამართლისა და კანონმდებლობის მოქმედება იყო ბატონი ივანიშვილის დამოკიდებულება დღემდე, ასეთად დარჩება ეს დამოკიდებულება მომავალშიც. ცხადია, რომ ეს სიმტკიცე და შეუვალობა საბანკო ჯგუფს არც სამართლებრივად და არც რეპუტაციულად კარგს არაფერს უქადის.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუკი აქ წამოჭრილი ესა თუ ის საკითხი დამატებით, სამართლის ნორმების მიღმა შეფასებას და კომენტარს მოითხოვს, ამას ბატონი ივანიშვილი თავად გააკეთებს საგანგებოდ დაგეგმილი პრესკონფერენციების გზით. მანამდე კი, მოწოდება იქნება, ნებისმიერი შეფასებისას მხოლოდ სამართლებრივი ნორმების ფარგლებში დავრჩეთ და მათ არ გავცდეთ.

ზემოთქმულთან ერთად, მსურს ასევე ჩემი პირადი პოზიცია გადმოვცე. კარგად მესმის ის ემოციური ფონი, რაც ბატონი ივანიშვილის მონაწილეობით ასეთი მასშტაბის საქმეების წარმოებას უკავშირდება. მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით მოვუწოდებდი საზოგადოებას ემოციებით შეფასებებისგან თავშეკავებისაკენ, რამეთუ ემოციებით მსჯელობას სარგებელი არასდროს მოუტანია. სანაცვლოდ კი, მხოლოდ დასაბუთებული ფაქტებით, გაწონასწორებული ინფორმაციისა და სამართლის გამოყენებით მსჯელობა არის ფართო საჯარო ინტერესის ნებისმიერ საკითხზე განსჯის ერთადერთი სწორი საშუალება.

პრიორიტეტებზე საუბრისას ორიოდე სიტყვით შემდეგს აღვნიშნავ: ჩვენი ქვეყანა მეტად რთულ დროში, ასევე მეტად რთული გეოპოლიტიკური პროცესების გზაჯვარედინზე მოექცა. სახეზეა არაერთი გამოწვევა, რაც ქვეყნის სტაბილურ და პროგნოზირებად განვითარებას რეალურ საფრთხეს უქმნის. ყოველივე ამაზე მეც ხშირად მიწევს საჯარო საუბარი, ამჯერად უკვე განსხვავებულ ამპლუაში. პირადი შეფასებაა, რომ არსებული ხელისუფლების პირობებში მაქსიმალური კეთდება, რათა ქვეყანას შეექმნას უსაფრთხო და სტაბილური განვითარების გარემო, დაძლეულ იქნას არსებული გამოწვევები. ამასთანავე, ბატონი ივანიშვილის მიმართ ნებისმიერი კითხვა თუ როგორია მისი პირადი პოზიცია ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე, ეს პოზიცია სწორედ რომ საქართველოს განვითარებისა და მისი საზოგადოების ინტერესებს უკავშირდება. ბატონ ივანიშვილთან ჩემი საადვოკატო საქმიანობის შედეგად მუდმივი კომუნიკაცია სრულ საფუძველს მაძლევს განვაცხადო, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესების მხრივ მის პოზიციასა და დამოკიდებულებაში ოდნავი ეჭვის შეტანაც კი აბსოლუტურად უსაფუძვლოა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

# სააკაშვილის სასამართლო პროცესი 24 მაისამდე გადაიდო

თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მიხეილ სააკაშვილის ბრალდების საქმეზე პროცესი მიმდინარეობდა, მოსამართლემ სხდომის გადადების გადაწყვეტილება მიიღო.

სხდომა მესამე პრეზიდენტის ერთ-ერთ ბრალდებაზე მიმდინარეობდა, რომელიც დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების ჯგუფურად გაფლანგვას ეხება. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიხეილ სააკაშვილი პროცესს არ დასწრებია.

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატებმა სხდომათა დარბაზში წარადგინეს მიხეილ სააკაშვილის წერილი, სადაც ის აღნიშნავდა, რომ ადვოკატებს წარედგინათ შუამდგომლობები, მაგრამ უშუალოდ მტკიცებულებების განხილვა სხდომაზე არ მომხდარიყო.

ამავდროულად, მოსამართლემ წარადგინა პენიტენციური დაწესებულების დოკუმენტი, სადაც, მისივე თქმით, სააკაშვილი ხელმოწერით ადასტურებდა იმას, რომ სხდომა გამართულიყო.

ამის პარალელურად დაცვის მხარემ სხდომაზე შესვენება მოითხოვა. საბოლოო ჯამში სასამართლოსა და დაცვის მხარეს შორის ამ დოკუმენტებთან მიმართებით თანხმობა ვერ შედგა, როდესაც მოსამართლემ სხდომის გადადების გადაწყვეტილება მიიღო და აღნიშნულ საქმეზე შემდეგი სხდომა 24 მაისს ჩანიშნა.

როგორც პროცესის გადადების შემდეგ ადვოკატმა შოთა თუთბერიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მოსამართლემ ემოციური გადაწყვეტილება მიიღო.

– დაცვის მხარემ სხდომაზე შუამდგომლობა დააყენა, რომლის მიხედვითაც სასამართლოს სთხოვა დაევალებინა პენიტენციური სამსახურისთვის, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე ექსპერტები დაეშვა. მოსამართლემ ექსპერტთან გასაუბრება მოითხოვა. ხაზგასასმელია ის, რომ ჩვენ ყველა სხდომაზე არაერთხელ გვქონია შუამდგომლობა, რომ სასამართლოს მოესმინა ექსპერტებისთვის შუამდგომლობის დასაბუთების მიზნით და არცერთ ეტაპზე სასამართლომ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

სასამართლომ თავად მოითხოვა ექსპერტთან გასაუბრება. ჩვენ ეს ექსპერტს შევატყობინეთ, რომელიც მზად იყო მოსულიყო სასამართლო პროცესზე და მიეცა განმარტებები სასამართლოსთვის. ექსპერტი 10 წუთში მოვიდოდა. თუმცა, ვინაიდან ჩვენ არ გვქონდა უფლებამოსილება და ინსტრუქცია მიხეილ სააკაშვილისგან, რომ გადავსულიყავით მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე მისი დასწრების გარეშე, ამიტომ სასამართლოს ვთხოვეთ დავლოდებოდით ამ ექსპერტის გასაუბრებას, რათა გადაგვეწყვიტა შუამდგომლობა, პენიტენციურ დაწესებულებაში ექსპერტიზის დაშვების საკითხი, რის მერეც უნდა გვემსჯელა სხდომის გაგრძელება-გადადებაზე.

სასამართლომ, სამწუხაროდ, ვფიქრობ, მიიღო ემოციური გადაწყვეტილება და საერთოდ გააუქმა ექსპერტთან გასაუბრება და გადადო სხდომა 24 მაისამდე. დაცვის მხარეს მიაჩნია, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი და ემოციური, – განაცხადა შოთა თუთბერიძემ.

ახალი თაობა

# ევროკავშირი რუსეთსა და უკრაინას შორის შუამავალი ვერ გახდება



– ევროკავშირი ვერ გახდება შუამავალი რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებებში.

ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჟოზეფ ბორელმა გერმანულ გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა.

– ჩვენ არა. რუსები ამას არ მიიღებენ, ისევე, როგორც ჩვენ არ მივიღებთ რუსეთს შუამავლად, – განაცხადა ბორელმა კითხვაზე, შეუძლია თუ არა ევროკავშირს, შუამავლის როლი შეასრულოს რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებებში.

ამასთან, მან დასძინა, რომ „ჩინეთი ასევე არ არის შესაფერისი, რადგან ის რუსეთისკენ არის მიდრეკილი. თურქეთი კი ძალიან კარგ საქმეს აკეთებს. მას კარგი ურთიერთობა აქვს ორივე მხარესთან“.

ბორელის თქმით, საუკეთესო ვარიანტი გაერო იქნებოდა და მოლაპარაკების შედეგი მხოლოდ უკრაინამ, რუსეთმა და შუამავალმა უნდა განსაზღვრონ.

გარდა ამისა, ბორელის თქმით, ევროკავშირი გააგრძელებს უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას და ასევე შეეცდება რუსეთის ეკონომიკის შესუსტებასა და ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციას.

რუსეთიდან გაზის მიწოდებაზე შესაძლო ემბარგოს დაწესებასთან დაკავშირებით კი ბორელმა აღნიშნა, რომ „გაზი სტრატეგიული პროდუქტია, რადგან ის არა მხოლოდ ენერგიის წყაროა, არამედ ნედლეულიც ნავთობქიმიური მრეწველობისთვის“.

– ახლა ჩვენ გვჭირდება ახალი მომწოდებლების პოვნა, – განაცხადა ბორელმა.

# შარლ მიშელს ოდესაში თავშესაფარში გადასვლა მოუხდა



შარლ მიშელი უკრაინაში, კერძოდ კი ოდესაში ჩავიდა. მისი ვიზიტის დროს ოდესის ოლქზე რუსებმა სარაკეტო იერიში მიიტანეს, რის გამოც მას თავშესაფარში გადასვლა მოუხდა.

შარლ მიშელი უკრაინის პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალს ხვდებოდა და მხარეები იძულებული გახდნენ, შეხვედრა შეეწყვიტათ და თავშესაფარში გადასულიყვნენ. შეხვედრას პრეზიდენტი ზელენსკი ვიდეოზარის საშუალებით ერთვებოდა.

მიშელი ქალაქ ოდესაში ევროპის დღესთან დაკავშირებით და იმის სანახავად ჩავიდა, რუსეთის აგრესიამ მომარაგების გლობალურ ჯაჭვზე რა გავლენა მოახდინა.

უკრაინის საზღვაო ფლოტის მეთაურმა მიშელს ინფორმაცია მიაწოდა იმ ზიანის შესახებ, რომელიც ზღვიდან გასროლილი რუსული რაკეტების შემდეგ ქალაქს მიადგა. აგრეთვე, მიშელმა საკუთარი თვალით ნახა განადგურებული სახლები და ომის გავლენა რიგით მოქალაქეებზე.

# აშშ-მ უკრაინისთვის 40 მილიარდზე მეტი ღირებულების დახმარების გამოყოფას მხარი დაუჭირა



აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ უკრაინისთვის 40 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების დახმარება დაამტკიცა.

კანონპროექტს მხარი პალატის 368-მა წევრმა დაუჭირა, წინააღმდეგი კი 57 წავიდა.

დოკუმენტი სენატს გადაეგზავნა, რომელიც, სავარაუდოდ, სწრაფად იმოქმედებს.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ორი კვირის წინ კონგრესს უკრაინისთვის დამატებითი 33 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების დახმარების დამტკიცების თხოვნით მიმართა, მაგრამ კანონმდებლებმა სამხედრო და ჰუმანიტარული დაფინანსების გაზრდის გადაწყვეტილება მიიღეს.

უკრაინის პირველმა პირმა აშშ-ის პალატის სპიკერ ნენსი პელოსისა და უკრაინის მეგობრებს მადლობა გადაუხადა.

„მადლობას ვუხდი ნენსი პელოსისა და უკრაინის ყველა მეგობარს ამერიკის წარმომადგენელთა პალატაში აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ ინიცირებული კანონის, ჩვენი სახელმწიფოსთვის დამატებითი ფინანსური დახმარების შესახებ, სწრაფი დამტკიცებისთვის. ჩვენ მოუთმენლად ველით სენატის მიერ ჩვენთვის ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვას“, – წერს ზელენსკი ტვიტერში.

# ოკუპანტებმა ლუგანსკში სკოლა-ინტერნატი დაბომბეს



რუსებმა ლუგანსკში სკოლა-ინტერნატი დაბომბეს, სადაც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები სწავლობდნენ. ამის შესახებ ლუგანსკის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სერგი ჰაიდაიმ განაცხადა.

– საბედნიეროდ, სკოლის მოსწავლეების ევაკუაცია წინასწარ განხორციელდა, – აცხადებს ის.

ჰაიდაის თქმით, გასულ დღეს რუსულმა ძალებმა ლუგანსკში 15-ჯერ გახსნეს ცეცხლი, რის გამოც ქალაქ სევეროდონეცკში დაზიანდა მაგისტრალური გაზსადენი. ასევე, ქალაქს მეორე დღეა, არ მიეწოდება ელექტროენერგია.

ჰაიდის თქმითვე, ვრუბოვკაში დაზიანდა ექვსი საცხოვრებელი კორპუსი.

გარდა ამისა, რუსულმა ძალებმა გუშინ, 11 მაისს, ზაპოროჟიეზე სარაკეტო დარტყმა განახორციელეს.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ზაპოროჟიეს ოლქის სამხედრო ადმინისტრაციაში აცხადებენ.

– დილით მტერმა ზაპოროჟიეს დაარტყა. ჩვენმა საჰაერო თავდაცვის ძალებმა წარმატებით იმუშავეს. რაკეტა საოლქო ცენტრთან ახლოს მდებარე დასახლებაში ინფრასტრუქტურის ობიექტის თავზე აფეთქდა. ობიექტი ძლიერ დაზიანდა, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ოლქის სამხედრო ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ, წინასწარი ინფორმაციით, თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

# უკრაინამ ხარკოვის ჩრდილოეთით რამდენიმე პუნქტი გაათავისუფლა

ხარკოვის ჩრდილოეთით უკრაინის კონტრშეტევის შედეგად რუსული ძალების რუსეთ-უკრაინის საზღვრისკენ წარმატებით განდევნა გრძელდება.

ამის შესახებ ამერიკული ორგანიზაციის, „ომის შესწავლის ინსტიტუტის“ ანგარიშშია აღნიშნული.

ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ უკრაინულმა ძალებმა სამშაბათს გაათავისუფლეს ხარკოვის ჩრდილოეთით რამდენიმე დასახლებული პუნქტი და განაგრძეს ახლად გათავისუფლებული სტარი სალტოვის ჩრდილოეთით მოძრაობა ხარკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით რამდენიმე ქალაქის დასაკავებლად.

„კონტრშეტევა შეაფერხებს რუსული არტილერიის შესაძლებლობას, თავდასხმა განახორციელოს ხარკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთ შემოგარენზე, პოტენციურად საშუალებას მისცემს უკრაინულ ძალებს, მოწინააღმდეგეს ზურგიდან დაარტყან“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

მათი შეფასებით, თუ უკრაინული ძალები შეძლებენ კონტრშეტევის გაგრძელებას, ამან შესაძლოა შეაჩეროს რუსეთის შეტევითი ოპერაციები იზიუმის გარშემო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## საზოგადოება

# ია ტომაში დედის გადასარჩენად დახმარებას ითხოვს



მომღერალი ია ტომაში დედის გადასარჩენად საზოგადოებას დახმარებას სთხოვს. ჯანმრთელობის გაუარესების გამო ახალგაზრდა ქალბატონს საზღვარგარეთ წაყვანა ესაჭიროება, რადგან საქართველოში დიაგნოზი ვერ დაისვა. თიბისისა და საქართველოს ბანკებში ანა ტომაშის სახელზე სპეციალური ანგარიშებია გახსნილი.

**ია ტომაში:**

– ჩვენც დაგვჭირდა თქვენი დახმარება. დედას 2 წელზე მეტია, ჯანმრთელობის პროგრესირებადი პრობლემა აქვს. გამოკვეთილი სიმპტომებია: თავბრუსხვევა, წონასწორობის დაკარგვა, ატაქსია, მოძრაობისა და მეტყველების გაძნელება და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ვიყავით ათეულობით ექიმთან, ჩავუტარეთ სხვადასხვა ინსტრუმენტული, ფიზიოლოგიური და მედიკამენტური ტესტი, დიაგნოზის დასმა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. სავარაუდო დიაგნოზებია მულტისისტემური ატროფია, მიასთენია ან სხვა მამოძრავებელი სისტემის დისფუნქცია. თუმცა, ყველა შემთხვევაში არის დიდი კითხვის ნიშანი.

ყოველ ჯერზე ვაწყდებით ახალ ჩიხს და ვეხეთქებით ახალ კედელს.

ყველაზე რთული აღმოჩნდა ექიმებისგან ფრაზების მოსმენა: „არ ვიცი“ და „ალბათ“.

ავადმყოფობა კი ძალიან სწრაფად პროგრესირებს, ამიტომ მე და ჩემმა დამ გადავწყვიტეთ, წავიყვანოთ საზღვარგარეთ, სანამ კიდევ უფრო გართულდება მისი მდგომარეობა, იმის იმედით, რომ დიაგნოზს მაინც დაუსვამენ.

წარმოუდგენელი გრძნობები იბადება, როცა უყურებ დედას ემოციურ და ფიზიკურ ტანჯვას და ვერ ეუბნები, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მე და ჩემი და მზად ვართ, გავაკეთოთ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლება დედას გადასარჩენად, ამიტომ გთხოვთ დახმარებას.

ვფიქრობთ პარიზის ერთ-ერთ კლინიკაში წაყვანას, რომელიც ზუსტად მოძრაობის გართულებაზეა ორიენტირებული. ვიმედოვნებთ, რომ საფრანგეთის სახელმწიფო უფასო დაზღვევას მიანიჭებს რაღაც ეტაპზე, მანამდე კი თქვენი იმედი გვაქვს. დასაწყისისთვის 20.000 დოლარი გვჭირდება.

ძალიან გვიჭირს ამაზე საუბარი და ვიცით, რომ ყველას თავისი პრობლემა და გასაჭირი აქვს, მაგრამ ეს ის მომენტია, როცა სახელმწიფოს იმედი გადაგვეწურა და თქვენი, თითოეული ადამიანის, საერთო ძალების გაერთიანებას გთხოვთ. ჩვენთვის თითო ლარიც მნიშვნელოვანია ახლა. წინასწარ დიდ მადლობას გიხდით, მშვიდობასა და ჯანმრთელობას გისურვებთ!

გთხოვთ, დაგვეხმაროთ მე და ჩემს დას, რომ დედას დიაგნოზი გავარკვიოთ და სწორი მიმართულებით დავიწყოთ მკურნალობა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# ნიანგმა 13 წლის გოგონა მოკლა



ზიმბაბვეში ნიანგი თავს დაესხა 13 წლის გოგონას, რომელმაც მდინარეში ჭურჭლის გარეცხვის შემდეგ ბანაობა გადაწყვიტა და მოკლა.

ნომატერ რაიმონდი თავის რვა წლის დასთან ერთად მდინარეზე ჭურჭლის გასარეცხად იმყოფებოდა. როდესაც რეცხვა დაასრულეს, რაიმონდმა პატარა დას გარეცხილი ჭურჭლის სახლში წაღება დაავალა, თავად კი მდინარეში ბანაობა გადაწყვიტა.

წყალში ჩასვლიდან რამდენიმე წუთში მას თავს ნიანგი დაესხა და მსხვერპლი მდინარის სიღრმეში ჩაითრია. მომხდარის თვითმხილველები გოგონას მეგობრები, 14 წლის ლინეტ მაზოვე და 12 წლის ანჟელა ჩიედზა გახდნენ, რომლებიც შორიახლოს თევზაობდნენ და თანასოფლელებს დასახმარებლად უხმეს.

შემთხვევის ადგილზე სოფლის მცხოვრებლებმა მიირბინეს და გოგონას ძებნას შეუდგნენ, თუმცა – წარუმატებლად. ამის შემდეგ მათ მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინეს. პოლიციის ინსპექტორ მაშონალენდ მილტონ მუნდეემბეს მონაცემებით, გოგონას ცხედარს მხოლოდ ორი დღის შემდეგ იმ ადგილიდან დაახლოებით 70 მეტრში მიაგნეს, სადაც გოგონა წყალში შევიდა.

# ტახმა ქალს კინაღამ ფეხი მოაჭამა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ თაუნსვილში ტახი ქალს თავს დაესხა, ხელები დაუკბინა და კინაღამ ფეხი მოაგლიჯა.

გარეული ცხოველისგან დაშავებულ კეი რობინსს კარის დაკეტვა დაავიწყდა, როდესაც ის მეგობრის სახლს უვლიდა. ამის შედეგად ტახების ჯოგმა სახლის ეზოში შეაღწია. ქალი შეეცადა, ცხოველები ბამბუკის ჯოხით დაეფრთხო, მაგრამ ერთ-ერთი ტახი არ შეუშინდა და იქაურობის დატოვებას არ აპირებდა.

– მათი უმრავლესობა გაიქცა, მაგრამ ერთი ტახი დაიბნა და ეზოში აქეთ-იქით სირბილს მოჰყვა, – განაცხადა ქალმა.

ტახმა ქალს შეუტია და ფეხში ჩააფრინდა.

– მე დავიხარე და ხელების დახმარებით შევეცადე, მისთვის ფეხზე კბენის საშუალება არ მიმეცა. მაშინ ის ხელებში მეცა და კბენა დამიწყო, – იხსენებს რობინსი.

ის ცდილობდა, ჯოხი ცხოველისთვის თვალებში ეტაკებინა, თუმცა ეს ვერაფრით მოახერხა. ტახი ამაზე არ რეაგირებდა და კბენას აგრძელებდა.

რობინსის ყვირილი მეზობელმა გაიგონა და დასახმარებლად მიირბინა. საბოლოოდ მან მოახერხა ტახის ეზოდან გაგდება. დაშავებული ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს და კიდურებზე ნაკერები დაადეს.

# მაიმუნმა პოლიციიდან მკვლელობის მტკიცებულება, იარაღი, გაიტაცა



ინდოეთის რაჯასტანის პროვინციის ქალაქ ჯაიპურში მაიმუნმა გაიტაცა პოლიციაში შენახული ჩანთა, რომელშიც მკვლელობის საქმეზე მტკიცებულების სახით 15 ნივთი ეწყო.

2016 წლის სექტემბერში მოზარდი, სახელად შაშიკანტ შარმა, პოლიკლინიკაში გარდაცვლილი ნახეს. იმისთვის, რომ მკვლელობის საქმის გამოძიებისთვის მიეღწიათ, დაღუპულის ნათესავებმა და მეზობლებმა ჯაიპურ-დელის გზატკეცილი გადაკეტეს. ხუთი დღის შემდეგ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ორი ეჭვმიტანილი, ადგილობრივები, რახული და მოხანლიალი კანდერუები, დააპატიმრეს.

როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ საქმე სასამართლოს გადაეცა, პოლიციელებმა შეგროვებული მტკიცებულებების წარდგენა ვერ შეძლეს, მათ შორის დანის, რომელიც მკვლელობის იარაღად იყო გამოყენებული. პოლიციაში მტკიცებულებების დაკარგვა ქურდბაცაცა მაიმუნის ნამოქმედარად გამოაცხადეს. მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი პასუხის თანახმად, ჩანთა, რომელშიც მტკიცებულებები ეწყო, მაიმუნმა გაიტაცა.

აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ჩანთა პოლიციის განყოფილების ტერიტორიაზე ხის ქვეშ იყო შენახული, ვინაიდან სპეციალურ საცავში ადგილი არ იყო.

# ციხის დირექტორის მოადგილეს პატიმარი შეუყვარდა და მასთან ერთად გაიქცა



აშშ-ში ციხის დირექტორის მოადგილე მკვლელობაში ბრალდებულ პატიმართან ერთად გაიქცა.

აღნიშნული შემთხვევა ალაბამის შტატში მოხდა. გამოძიების მონაცემებით, ციხის თანამშრომელ ვიკი უაიტს პატიმარი, თავისი მოგვარე, კეისი კოულ უაიტი, სასამართლოში უნდა გადაეყვანა. ავტომობილმა, რომლითაც მას დამნაშავე გადაჰყავდა, გამოსასწორებელი დაწესებულების ტერიტორია დილის ცხრის ნახევარზე დატოვა. მას შემდეგ მათი ადგილსამყოფელი დაუდგენელია.

ციხის პატიმრებმა გამომძიებლებს განუცხადეს, რომ შესაძლოა ვიკი უაიტს კეისი კოული შეუყვარდა, ვინაიდან მათ შორის „განსაკუთრებული ურთიერთობა“ ჩამოყალიბდა. საოლქო პროკურორის თქმით, ის მომხდარით გაოგნებულია.

– ვიკის საკუთარ სიცოცხლეს ვანდობდი. ამას სერიოზულად ვაცხადებ. ის ჩვენი საიმედო თანაშემწე და შესანიშნავი თანამშრომელი იყო, – განაცხადა მან. ამ დროისთვის გაუჩინარებულებს შტატის პოლიცია ეძებს. ჯერჯერობით მხოლოდ ზედამხედველის კუთვნილი, ასევე, შერიფის დეპარტამენტის რაცია და ხელბორკილებია ნაპოვნი. ვიკი უაიტის მობილური გამორთულია და მისი აღმოჩენა შეუძლებელია. ჯერ არც მანქანა უპოვიათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ტურის ცენტრალური მატჩი გორშია, საბურთალო სტადიონზე მაყურებელს არ უშვებს



დღეს ეროვნული ლიგის მე-13 ტურის მატჩები გაიმართება. ტურის ცენტრალური მატჩი გორში გაიმართება, მაგრამ არანაკლებ საინტერესო დუელები გველის სხვა წყვილებშიც.

**12 მაისი**

**საბურთალო-დინამო (ბთ)**

**17:00. რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

ტურის ერთ-ერთი საინტერესო და გამორჩეული მატჩია. თუმცა, მატჩს მაყურებლები ვერ დაესწრებიან. ამის მიზეზი ის არის, რომ საბურთალო ვერ უზრუნველყოფს მატჩის ორგანიზებასა და უსაფრთხოებას. ამას კლუბი პირდაპირ აცხადებს საკუთარი განცხადებით:

— საბურთალოსა და ბათუმის დინამოს მატჩი რუსთავში, სფფ-ს ტექნიკურ ცენტრში ჩატარდება. იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო დროს ეროვნულ ლიგაში რამდენიმე არასასიამოვნო ფაქტი დაფიქსირდა, მატჩის უსაფრთხოდ ჩატარების მიზნით, შეხვედრაზე დაიშვებიან მხოლოდ აკრედიტებული ჟურნალისტები და მცირე რაოდენობის საბურთალოსა და ბათუმის დინამოს ქომაგები, რომლებიც ისარგებლებენ სპეციალურად დამზადებული მოსაწვევებით.

არადა, საინტერესო თამაში უნდა გამოდგეს: საბურთალო მე-4 ადგილზეა და მაღალი მიზნები აქვს. ბათუმელებს კი ზედიზედ მეორე ჩემპიონობა ამოუჭრიათ გულში. ფავორიტად ზღვისპირული გუნდი მიიჩნევა, მაგრამ ლევან კორღალიძის გუნდი მარტივად გასავლელი მეტოქე არ არის.

**დილა-დინამო (თბ)**

**19:00. გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

ამ ტურამდე გორელები მე-2 ადგილზე იყვნენ და ბათუმში წაფორხილებით ადგილი თბილისის დინამოს დაუთმეს. ახლა კი შანსი აქვთ, დაკარგული ადგილი დაიბრუნონ.

ანდრეი დემჩენკოს გუნდს ამის კარგად ირჯებიან, მაგრამ მეტოქედ ხომ თბილისის დინამო ჰყავთ, რომელიც ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში მუდმივად ფავორიტთა შორის არის.

მოკლედ, გორში ძალიან მაგარ თამაშს ველოდებით...

**13 მაისი**

**სიონი-სამგურალი**

**16:00. ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

სამგურალი ცხრილის შუა ნაწილშია მოქცეული, მაგრამ ცალი თვალი ზემოთაც უჭირავს. გიორგი მიქაძის გუნდი საკმაოდ საინტერესო ფეხბურთს თამაშობს. თუმცა, მათი მიზანი უფრო ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, რაც არ უნდა გაუჭირდეთ. თუმცა, ჯერ წინ დიდი დროა.

თავის მხრივ, სიონს ქულები სჭირდება. გუნდი მხოლოდ მაჩანჩალა ლოკომოტივს უსწრებს და კიდევ ქულების განიავება მძიმე დღეში ჩააგდებს.

**თელავი-გაგრა**

**19:00. თელავი. კავკასიონი არენა**

ორივე გუნდის ამოცანა ლიგაში დარჩენაა. ჯერჯერობით, ორივე უმკლავდება. თუმცა, ერთმანეთში თამაში ბევრ რამეს გადაწყვეტს.

ფრე, ალბათ, ორივეს აწყობს, მაგრამ არც მოგებაზე დაიხევენ უკან, რათა ბოლოსკენ საქმე არ გაურთულდეთ.

**ლოკომოტივი-ტორპედო**

**21:00. საგურამო. ლოკომოტივის ბაზა**

ლოკომოტივი ჯერ ისევ ქულების მოლოდინშია. გუნდმა 12 მატჩი წააგო. ახლა მათთვის ყველა მატჩს პრინციპული მნიშვნელობა ექნება.

თავის მხრივ, მოგება რიონისპირელებსაც სჭირდებათ. ტორპედოსაც არცთუ სახარბიელო მდგომარეობა აქვთ. გარდა ამისა, გუნდში ცვლილებებია მოსალოდნელი და ისიც გასათვალისწინებელია, რომ კიდევ 4 საშინაო მატჩს უმაყურებლოდ გამართავენ. ასეთ შემთხვევაში, საგურამოში წაგება საქმეს გაურთულებთ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 12 | 8 | 3 | 1 | 28-7 | 27 |
| 2.დინამო (თბ) | 12 | 6 | 4 | 2 | 21-11 | 22 |
| 3.დილა | 12 | 7 | 1 | 4 | 15-11 | 22 |
| 4.საბურთალო | 12 | 6 | 3 | 3 | 19-13 | 21 |
| 5.სამგურალი | 12 | 5 | 5 | 2 | 15-9 | 20 |
| 6.გაგრა | 12 | 5 | 2 | 5 | 17-20 | 17 |
| 7.თელავი | 12 | 4 | 4 | 4 | 15-10 | 16 |
| 8.ტორპედო | 12 | 3 | 2 | 7 | 8-20 | 11 |
| 9.სიონი | 12 | 2 | 4 | 6 | 14-26 | 10 |
| 10.ლოკომოტივი | 12 | 0 | 0 | 12 | 9-32 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა სახეს იცვლის




უეფას აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი, ჩემპიონთა ლიგა, ფორმატს შეიცვლის და განსხვავებული სახით ჩატარდება.

2024-25 წლების სეზონიდან შეიცვლება ჯგუფური ეტაპი და გაიზრდება მონაწილე გუნდების რაოდენობა.

კლუბების რაოდენობა 32-დან 36-მდე გაიზრდება და ყველა მათგანი ერთად მოიყრის თავს. ახალი ფორმატით გუნდები ეგრეთ წოდებულ „შვეიცარიულ სისტემაზე“ გადავლენ, რომელიც აქამდე ძირითადად ჭადრაკში გამოიყენებოდა.

კვალიფიკაციის პრინციპი ნაწილობრივ წინა სეზონის წარმატებებზე იქნება დამოკიდებული. ადრე იყო ლაპარაკი მხოლოდ საკლუბო კოეფიციენტების გათვალისწინებაზე, თუმცა ეს მოსაზრება უარყვეს. ამასთან, 2 საუკეთესო ქვეყანა ჩემპიონთა ლიგაში დამატებით 2 ადგილს მიიღებს.

თითოეული გუნდი 8-8 თამაშს ჩაატარებს 8 სხვადასხვა მეტოქის წინააღმდეგ (4 შინ, 4 — სტუმრად). მოგეხსენებათ, მოქმედი ფორმატით ჯგუფურ ეტაპზე ერთ გუნდს 6 თამაშის ჩატარება უწევს 3 სხვადასხვა მეტოქის წინააღმდეგ.

მერვედფინალში ავტომატურად გავა 8 საუკეთესო კლუბი, კიდევ 8 კლუბს დამატებით ტურში 9-24 ადგილზე გასული გუნდები 2-მატჩიან დუელებში გაარკვევენ.

მერვედფინალური ეტაპიდან ტურნირის ფორმატი უცვლელი დარჩება.

აღსანიშნავია, რომ ზუსტად იგივე ცვლილებები შეეხება ევროპალიგასა და კონფერენსლიგას, ერთი განსხვავებით: ევროპალიგაზე გუნდები 8-8 მატჩს ჩაატარებენ, კონფერენსლიგაზე კი 6-6 თამაშის ჩატარება მოუწევთ.

**ალექსადერ ჩეფერინი, უეფას პრეზიდენტი:**

— დარწმუნებული ვართ, რომ შერჩეული ფორმატი უზრუნველყოფს სწორ ბალანსს და გააუმჯობესებს კონკურენტუნარიანობას, გამოიმუშავებს სოლიდურ შემოსავალს, რომელიც კლუბებზე, ლიგებსა და ზოგადად ფეხბურთში განაწილდება. ძალიან მოხარული ვარ, რომ უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღო და როგორც ევროპული ლიგები, ისე ეროვნული ასოციაციები ეთანხმებიან წარმოდგენილ წინადადებას. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ევროპული ფეხბურთი უფრო ერთიანია, ვიდრე ოდესმე.

## გუჯეჯიანმა თბილისის გრანდ სლემის შემადგენლობა დაასახელა



თბილისის ოლიმპიურ სასახლეს ძიუდოს გრანდ სლემისთვის მარტში უნდა ემასპინძლა, მაგრამ უკრაინაში შექმნილი ვითარების გამო ძიუდოს საერთაშორისო ორგანიზაციამ ივნისისთვის გადადო. ახლა საქართველოს დედაქალაქს სტუმრები 3-5 ივნისს ეწვევიან.

ამ ტურნირისთვის საქართველოს როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა შორის სრული შემადგენლობის, წონაში 4-4 ძიუდოისტისთვის გამოყვანის უფლება აქვს. ჩვენები ამ კვოტას მხოლოდ ვაჟებში გამოიყენებენ, ხოლო ქალთა შორის ყველა წონაში თითო მონაწილე გვეყოლება.

ორივე ნაკრების მწვრთნელებმა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციაში წინასწარი შემადგენლობა წარადგინეს:

**ვაჟები:** ლუხუმ ჩხვიმიანი, ჯაბა პაპინაშვილი, თემურ ნოზაძე, გიორგი სარდალაშვილი (60კგ); ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა ნადირაძე, საბა კაპანაძე, გიორგი თუთაშვილი (66); ლაშა შავდათუაშვილი, გიორგი ტერაშვილი, გიორგი ჩიხელიძე, ფრიდონ გიგანი (73); ტატო გრიგალაშვილი, გიორგი შერაზადიშვილი, ვლადიმერ ახალკაცი, ლევან გუგავა (81); ლუკა მაისურაძე, უშანგი მარგიანი, იმედა გოგოლაძე, გიორგი პაპუნაშვილი (90); ილია სულამანიძე, ონისე სანებლიძე, გიორგი ბერიაშვილი, ომარ საური (100); გურამ თუშიშვილი, გელა ზაალიშვილი, ონისე ბუღაძე, გიორგი ქავთარაძე (+100);

**ქალები:** ნატალია ყიფშიძე (48); მარიამ ჯანაშვილი (52); ეთერ ლიპარტელიანი (57); რეგინა უთნელიშვილი (63); ინდირა სილაგაძე 970); მარიამ ჭანტურია (78); სოფიო სომხიშვილი (+78);

შეგახსენებთ, რომ ეს არის წინასწარი შემადგენლობები, რომლებშიც, შესაძლოა, ცვლილებები მოხდეს.

## საქართველოს ნაკრები აკროპოლისის თასზე ითამაშებს

1 სექტემბერს კალათბურთში ევროპის ჩემპიონატი იწყება, რომლის ერთ-ერთი ჯგუფის მატჩები თბილისში გაიმართება. საქართველოს კალათბურთის ფედერაციას ჯერ ევრობასკეტის მზადების გეგმა არ დაუდგია, მაგრამ უკვე ვიცით, რომ ილიას ზუროსის გუნდი აგვისტოში საბერძნეთის ნაკრებს შეხვდება.

უფრო ზუსტად, 17-19 აგვისტოს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში პრესტიჟული ოთხთა ტურნირი, აკროპოლისის თასი გაიმართება. ელადელები გადაწყვეტილად წერენ, რომ ტურნირში, საბერძნეთის გარდა, საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. კიდევ 2 გუნდი თურქეთი და პოლონეთი იქნებიან. თურქეთი, რომელიც ევრობასკეტზე ჯგუფში ჩვენი მეტოქე იქნება, თავიდან არ მოიაზრებოდა და მის ნაცვლად სლოვენიას უნდა ეთამაშა, მაგრამ ბალკანელებმა მასპინძლებს უარი შეუთვალეს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა აკროპოლისის თასზე 2017 წელსაც ისპარეზა და ჩემპიონიც გახდა — ჩვენმა გუნდმა ჯერ სერბეთი დაამარცხა, შემდეგ — საბერძნეთი, შეჯიბრების დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა პირველობა და ბოლო მარცხს იტალიასთან მნიშვნელოვანი არაფერი შეუცვლია.

ევროპის ჩემპიონატის გარდა, აკროპოლისის თასი საქართველოს ნაკრებისთვის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვისაც გენერალური რეპეტიცია იქნება. მუნდიალის შესარჩევის მე-2 ეტაპზე ჩვენს გუნდს პირველი მატჩი — 24 აგვისტოს, მეორე — 26 აგვისტოს ელის. მეტოქეების ვინაობა ჯერ არ გარკვეულა.

ევრობასკეტი კი 1 სექტემბერს დაიწყება. საქართველოს ნაკრების მოწინააღმდეგეები იქნებიან ბელგია, ესპანეთი, ბულგარეთი, თურქეთი და გუნდი, რომელიც რუსეთს ჩაანაცვლებს. ამას მაისის ბოლოს გავიგებთ...

## შედეგები

**10 მაისი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ლივერპული ................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 35 | 27 | 5 | 3 | 89-21 | 86 |
| 2.ლივერპული | 36 | 26 | 8 | 2 | 89-24 | 86 |
| 3.ჩელსი | 35 | 19 | 10 | 6 | 70-31 | 67 |
| 4.არსენალი | 35 | 21 | 3 | 11 | 56-42 | 66 |
| 5.ტოტენჰემი | 35 | 19 | 5 | 11 | 60-40 | 62 |
| 6.მანჩესტერი | 37 | 16 | 10 | 11 | 57-56 | 58 |
| 7.ვესტ ჰემი | 36 | 16 | 7 | 13 | 57-46 | 56 |
| 8.ვულვზი | 35 | 15 | 5 | 15 | 35-34 | 50 |
| 9.ბრაიტონი | 36 | 11 | 14 | 11 | 38-42 | 47 |
| 10.კრ.პალასი | 35 | 10 | 14 | 11 | 46-42 | 44 |
| 11.ასტონ ვილა | 35 | 13 | 4 | 18 | 48-49 | 43 |
| 12.ბრენტფორდი | 36 | 12 | 7 | 17 | 44-52 | 43 |
| 13.ნიუკასლი | 36 | 11 | 10 | 15 | 40-61 | 43 |
| 14.ლესტერი | 34 | 11 | 9 | 14 | 49-56 | 42 |
| 15.საუთჰემპტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 41-61 | 40 |
| 16.ევერტონი | 34 | 10 | 5 | 19 | 37-56 | 35 |
| 17.ბარნლი | 35 | 7 | 13 | 15 | 32-49 | 34 |
| 18.ლიდსი | 35 | 8 | 10 | 17 | 39-74 | 34 |
| 19.უოტფორდი | 35 | 6 | 4 | 25 | 32-70 | 22 |
| 20.ნორვიჩი | 35 | 5 | 6 | 24 | 22-75 | 21 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-ბეტისი ................ 0:3
გრანადა-ბილბაო ................ 1:0
ბარსელონა-სელტა ................ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 35 | 25 | 6 | 4 | 73-30 | 81 |
| 2.ბარსელონა | 36 | 21 | 9 | 6 | 68-36 | 72 |
| 3.სევილია | 35 | 17 | 14 | 4 | 51-29 | 65 |
| 4.ატლეტიკო | 35 | 19 | 7 | 9 | 60-41 | 64 |
| 5.ბეტისი | 36 | 18 | 7 | 11 | 60-40 | 61 |
| 6.სოსიედადი | 35 | 15 | 11 | 9 | 34-34 | 56 |
| 7.ვილიარეალი | 35 | 14 | 11 | 10 | 55-34 | 53 |
| 8.ბილბაო | 36 | 13 | 13 | 10 | 41-35 | 52 |
| 9.ოსასუნა | 35 | 12 | 10 | 13 | 36-46 | 46 |
| 10.ვალენსია | 36 | 10 | 14 | 12 | 45-52 | 44 |
| 11.სელტა | 36 | 11 | 10 | 15 | 42-41 | 43 |
| 12.რაიო | 35 | 11 | 9 | 15 | 35-39 | 42 |
| 13.ესპანიოლი | 35 | 10 | 10 | 15 | 38-50 | 40 |
| 14.ელჩე | 35 | 10 | 9 | 16 | 37-48 | 39 |
| 15.ხეტაფე | 35 | 8 | 13 | 14 | 31-37 | 37 |
| 16.გარნადა | 36 | 8 | 13 | 15 | 44-59 | 37 |
| 17.კადისი | 35 | 7 | 14 | 14 | 33-47 | 35 |
| 18.მალიორკა | 35 | 8 | 8 | 19 | 32-62 | 32 |
| 19.ლევანტე | 35 | 6 | 11 | 18 | 44-67 | 29 |
| 20.ალავესი | 35 | 7 | 7 | 21 | 28-60 | 28 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

მეხელენი-გენტი ................ 1:2
გენკი-შარლერუა ................ 3:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი-ჰიბერნიანი ................ 3:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

იანგ ბოიზი-სტ.გალენი ................ 4:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ — „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. მადნის, ნახშირისა და სხვა ნივთიერების ნარევი ლითონის გამოსადნობად; 2. მუზეუმი პარიზში; 3. ქართული სანადიმო სიმღერა; 4. პატარა რესტორანი; 5. ქართული სამშენებლო კომპანია; 6. მუდმივი მყიდველი; 9. დაავადების ან მისი ნიშნების დამალვა ავადმყოფის მიერ; 10. უმაღლესი კვალიფიკაციის აფთიაქარი; 11. ავადმყოფური კბილების კრაჭუნი ძილში; 14. საწვავი სითხე; 16. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 18. პლანეტების მოძრაობის კანონების აღმომჩენი გერმანელი ასტრონომი; 20. ღვინის დიდი ქვევრი; 23. ესკალატორის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 24. კათოლიკური ჯვარი; 25. ფრანგული მინერალური წყალი; 26. ირლანდიური ცეკვა.

**თარაზულად:** 7. გერმანული ავიაკომპანია; 8. პრეზიდენტის სასახლე რომში; 12. ყველაზე გრძელი მდინარე საფრანგეთში; 13. სახელმწიფო აზიაში; 15. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 17. წყნარი ოკეანისპირა ნავსადგური კანადაში; 19. მდინარე ქციას სახელწოდება ქვედა დინებაში; 21. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 22. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 27. წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად; 28. საელჩოებისა და საკონსულოების თარჯიმანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ალებასტრი; 2. ბენზინი; 3. ტიროლი; 4. აქატი; 5. გრინგო; 11. სალაჰი; 12. ყატარი; 14. გომი; 16. ლაქტოზა; 17. სარბაზი; 19. ბერინგი; 21. ბრომი; 22. ატამი.

**თარაზულად:** 6. კლარნეტი; 7. ლიქტორი; 8. ტვენი; 9. ჰამამი; 10. ლარსი; 13. დრაგი; 15. ალადასტური; 18. მიკრობი; 20. აისი; 21. ბოხოხი; 23. კატამარანი; 24. ზარზმა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შპრეე; 2. ურავი; 3. ქანდარა; 4. მაცა; 5. ყაჭი; 6. ვივალდი; 9. სკანდინავია; 10. პროზელიტი; 11. სამტრედია; 14. ზუბრი; 16. ტვიში; 18. ფრეგატი; 20. გორგაძე; 23. ჭონი; 24. ბეილი; 25. ბჟუჟი; 26. ჭომა.

**თარაზულად:** 7. ფასანაური; 8. კატალონია; 12. ლავრა; 13. ტაბლა; 15. დუნაი; 17. ბოგდიხანი; 19. აბაშა; 21. გენტი; 22. სიდრი; 27. სტიპენდია; 28. თურმანიძე.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 3.0261 |
| ევრო | — 3.1934 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.7387 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.4197 |

## ამინდის პროგნოზი 12 მაისისათვის




## ობამეიანგი: „მიხარია, რომ ბარსელონის ფეხბურთელი ვარ“



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე სელტა დაამარცხა და მატჩში პიერ ემერიკ ობამეიანგმა 2 გოლის გატანა შეძლო.

ობამეიანგმა კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ის ბარსელონაში ძალიან ბედნიერია და შეეცდება, გუნდს მომავალშიც მოუტანოს წარმატება:

– მადლობა უსმანსა და მემფისს იმისთვის, რომ გოლის გატანის შანსი მომცეს. ბარსელონაში ბედნიერი ვარ და გუნდისთვის ყოველთვის ბოლომდე დავიხარჯები.

## სადიო მანე, შესაძლოა, ლივერპულიდან წავიდეს



ლივერპულის სენეგალელმა ფორვარდმა სადიო მანემ, შესაძლოა, ლივერპული დატოვოს, რადგან მას კონტრაქტი მომავალ წელს ეწურება და ჯერჯერობით გახანგრძლივებაზე არ ფიქრობს.

სანეს შეძენით რამდენიმე გრანდია დაინტერესებული, მათ შორის ბარსელონაც. თუ მანემ ლივერპული დატოვა, ეს ლივერპულისთვის სერიოზული პრობლემა იქნება, რადგან სადიო მერსისაიდელების ერთ-ერთი ლიდერია.

## ჰოლანდი მანჩესტერ სიტიში გადასვლასთან ახლოს არის



ერლინგ ჰოლანდი მანჩესტერ სიტიში გადასვლასთან ახლოს არის და, შესაძლოა, ეს ტრანსფერი უახლოეს დღეებში ოფიციალური გახდეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სიტი 80 მილიონს გადაიხდის და ბორუსია ამ თანხაზე ყაბულს არის.

ჰოლანდი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება და მისი შეძენა ბევრ გუნდს სურს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მამაკაცმა ერთდროულად სამ ქალზე იქორწინა



ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატის მკვიდრმა მამაკაცმა ერთდროულად სამ პატარძალზე იქორწინა. მანამდე მათ დაახლოებით 15 წელი ერთად იცხოვრეს.

საქორწინო ცერემონიამ, რომლის დროსაც 42 წლის სამრატ მურია სამ შეყვარებულზე დაქორწინდა, ექვსი ბავშვის თანდასწრებით ჩაიარა. ადგილობრივი წეს-ჩვეულების თანახმად, ქორწილი სამ დღეს გაგრძელდა. ქალებიდან ყველაზე ასაკოვანი 35, ხოლო უმცროსი – 30 წლისაა.

მიუხედავად მრავალცოლიანობის ოფიციალურად აკრძალვისა, ინდოეთის ზოგიერთ სოფელსა და ჩაკეტილ საზოგადოებებში მამაკაცები კვლავინდებურად ქორწინდებიან ორ ან მეტ ქალზე. აღსანიშნავია, რომ მურია ერთ-ერთ მათგანზე ჯერ კიდევ 2003 წელს იყო დანიშნული. ახლად შეუღლებულთა თქმით, მათ დაქორწინება იმიტომ გადაწყვიტეს, რომ ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან აღიარება და ტაძარში სიარული და სხვადასხვა რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება ჰქონოდათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 12 მაისისათვის

**ვერძი** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – არც ზედმეტი თავდაჯერებულობა ვარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

•••

დედა შვილს ეკითხება:

– ხვალინდელი ტესტებისთვის მზად ხარ?

– კი.

– რომ შეგამოწმო.

– შემამოწმე.

– კარგი. მაშინ მიპასუხე, რა დასრულდა 1986 წელს?

– 1985 წელი.

•••

ქალი მამაკაცს ეუბნება:

– როგორ შეიძლება, რომ ბავშვის თვალწინ იგინებით?

– კი არ ვიგინები, მის მიერ ჩემ მანქანაზე დაწერილ სიტყვებს ვკითხულობ!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ჩვენ პარლამენტარებს 1 ივნისი მიულოცე?

– კი მაგრამ, ეგ ხომ ბავშვთა დღე იყო?

– და განა ჩვენი პარლამენტარები ბავშვები არ არიან?

– რანაირად არიან ბავშვები?

– რანაირად და... ჯერ ერთი, არ მუშაობენ, მეორეც, ძვირფასი სათამაშოები უყვართ და ბოლოს, ათას სისაძაგლეს ჩადიან და მათ ამისთვის არავინ სჯის!

•••

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, გადავწყვიტე, რომ კარიერა ორგანიზებულ დანაშაულში ავიწყო.

– სახელმწიფო თუ კერძო სექტორში?

•••

მოხუც ქალბატონს ეუბნებიან:

– ბებო, ციფრული ტელევიზია გექნება.

– და რომელი ციფრული, შვილო, არაბული თუ რომაული?

– თქვენი ტელევიზორით თუ ვიმსჯელებთ, ბაბილონურის წაკითხვასაც შეძლებს.

•••

იარაღის მაღაზიაში შესული ქალი გამყიდველს ეუბნება:

– თუ შეიძლება, პისტოლეტი შემირჩიეთ ჩემი მეუღლისთვის.

– გითხრათ, რომელი კალიბრის უნდა?

– არა, მან ჯერ არც კი იცის, მის მოკვლას რომ ვაპირებ.

•••

ბარმენი მამაკაცს ეკითხება:

– ჭიქა ცარიელი გაქვთ და კიდევ ერთს ხომ არ ინებებდით?

– ორი ცარიელი ჭიქა რა თავში სახლელად მინდა?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დემნას ჭუჭყიანი კედები 625 დოლარი ღირს



დემნამ მოდის სიახლეებით დაინტერესებულ საზოგადოებას ახალი ფეხსაცმელი შესთავაზა – ჭუჭყიანი და დახეული კედები.

„ბალენსიაგას“ განმარტებით, ეს არის კედი, რომელმაც მთელი ცხოვრება გატარათ და იმაზე მეტად აღარ გაჭუჭყიანდება და აღარც დაიხევა, ვიდრე არის.

დემნას დიზაინით შექმნილი ახალი კედები 625 დოლარი ღირს.

## შორენა ბეგაშვილი წიგნს დაწერს



მსახიობმა და წამყვანმა შორენა ბეგაშვილმა წიგნის დაწერის გადაწყვეტილება მიიღო.

მან ათასობით გულშემატკივარს კითხვით მიმართა:

– როგორ ფიქრობთ, მოგეწონებოდათ ჩემი წიგნი ჩემი ცხოვრებით? ის, რაც არავინ იცის, ან იცის, მაგრამ არარეალური ფაქტებით. დავარქმევდი „არც ერთი სიტყვა სიყვარულზე“.

შორენას გულშემატკივრებმა მისი იდეა მოიწონეს, ამიტომ მსახიობმა წიგნის დაწერა გადაწყვიტა:

– ძალიან დიდი და დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ამ იდეას. დავიწყებ, ეტაპობრივად გაგაცნობთ ჩანახატებს, თუმცა ვთვლი, რომ წინ არის ნამდვილი, სიყვარულით, სიხარულით, ბედნიერებით, ერთგულებით სავსე ცხოვრება, რაც ნამდვილად დასჭირდება ამ საოცარ წიგნს არავინ და არაფერი არ იქნება შელამაზებული ან შეცვლილი. ვნება, ტყუილი, ბოროტება და „არც ერთი სიტყვა სიყვარულზე“.

## მურაზ მურვანიძემ „ჩაკრულოს“ ძეგლი დაუდგა



მხატვარმა და მოქანდაკემ მურაზ მურვანიძემ გენიალურ ქართულ ხალხურ სიმღერა „ჩაკრულოს“ ძეგლი დაუდგა.

ინფორმაცია გია ბალაშვილმა გაავრცელა:

– განსაკუთრებული რამ მოხდა. გენიალური ქართული ხალხური სიმღერის, „ჩაკრულოს“, ძეგლი დაიდგა „ბიოლში“. ავტორი გახლავთ გამოჩენილი ქართველი მხატვარი, ბატონი მურაზ მურვანიძე.

მინდა მივულოცო ქართული სიმღერის ყველა მოყვარულსა და გულშემატკივარს, განსაკუთრებით კი ამ პროექტის იდეის ავტორსა და სულისჩამდგმელს, ჩემს მეგობარს, უნიჭიერეს რეჟისორს, რამაზ ბლუაშვილს.

## თამარ გვერდწითელი ისევ დეზინფორმატორების მსხვერპლია



მომღერალი თამარ გვერდწითელი ისევ დეზინფორმატორების მსხვერპლი გახდა და საზოგადოებისგან კვლავ დაუმსახურებელი შეურაცხყოფა დაიმსახურა.

ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველმა მომღერალმა 9 მაისს მოსკოვში კონცერტი გამართა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება:

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ 9 მაისს მოსკოვში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ კონცერტში იმღერა თამარ გვერდწითელმა, რაც არის სრული დეზინფორმაცია. სატელევიზიო ვერსია არის დამონტაჟებული და თამარის ეს გამოსვლა არის შარშანდელი 22 ივნისის კონცერტიდან ამოჭრილი და ჩასმული.

საქართველოს დამსახურებული არტისტი თამარ გვერდწითელი თვეზე მეტია, სამშობლოში იმყოფება. თბილისში, საკუთარ სახლში მეგობრული და შემოქმედებითი საღამო გამართა ქართველ მუსიკოსებთან, თავის ბენდის ბიჭებთან – დავით ჯაფარიძესთან, ირაკლი ყარალაშვილთან, პაატა ანდრიაძესთან ერთად, – ნათქვამია მომღერლის ოფიციალური გვერდის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## ლიზა ბათიაშვილმა და გიორგი გიგაშვილმა დუეტი ჩაწერეს



პიანისტმა გიორგი გიგაშვილმა და მსოფლიოში აღიარებულმა მევიოლინემ ლიზა ბათიაშვილმა დუეტზე იმუშავეს.

ხელოვანებმა არჩევანი ფრანკის სონატაზე შეაჩერეს და „დოიჩე გრამაფონში“ წარმატებით ჩაწერეს. ნამუშევრის მოსმენა გიორგისა და ლიზას ათასობით გულშემატკივარს უახლოეს პერიოდში შეეძლება.

გიორგი გიგაშვილი, პიანისტი:

– ორდღიანი ჩაწერების დასრულების შემდეგ სასიამოვნოდ დაღლილი გიორგი სიხარულით გაცნობებთ, რომ ფრანკის სონატა გენიოს ლიზა ბათიაშვილთან ერთად „დოიჩე გრამოფონში“ წარმატებით ჩაიწერა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 3. პარლამენტის ზედა პალატა აშშ-ში; 4. მოწყალე, სიკეთის მკეთებელი ადამიანი; 5. კიევის მერი; 11. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 12. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 14. პროვინციის მმართველი თურქეთში; 16. წინასწარმეტყველი ქურუმი ძველ რომსა და საბერძნეთში; 17. კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 19. სამშენებლო მოსაპირკეთებელი მინერალი; 21. აეროპორტი სინგაპურში; 22. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი.

**თარაზულად:** 6. ერეტიკოსთა და მათი თხზულებების დაწვა კოცონზე ინკვიზიციის განაჩენით; 7. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 8. შუადღის საუზმე; 9. ქართველი ჰემატოლოგი, აკადემიკოსი; 10. საკონდიტრო ნაწარმი; 13. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 15. ცხენზე მოჯირითე აკრობატი ცირკში; 18. ხორვატიის დედაქალაქი; 20. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 21. იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 23. მანათობელი მწერი; 24. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

